გაზეთი ზევრიას, „ვერსიას“ ერთი

ვერსია

ფასი 50 თეთრი

№65 (960) 20 - 22 ივნისი, 2014 წელი

ორშაბათი ოთხშაბათი პარასკევი

მეშახტეები შრომის დაცვის ინსპექციის აღდგენას ითხოვენ

ლევან ბერძენიშვილის სკანდალური შეფასებები

გვ. 5

„ნინო ბურჯანაძის ორიენტაცია მოსკოვის მიმართულებით ჩემ სიმპათიას არ იმსახურებს. გინდა, პუტინი უყვარდეს და გინდა, ჟირინოვკსი, ეს კანონდარღვევა არ არის, მაგრამ პირადად მე, ოპოზიციაშიც ის ადამიანები მირჩევნია, რომლებიც ევროპულ კურსში კი არა, სხვა მიმართულებით გამიწევენ ოპონირებას. ოპონენტებად მეორე, მესამე და მეოთხე ადგილზეც ის ადამიანები მირჩევნია, რომლებსაც ევროპასთან პრობლემები არ აქვთ. “

როგორ დამარცხდება „ქართული ოცნება“, რატომ ვერ შესრულდა ზოგი დაპირება და რატომ აკრიტიკებს ექსპერტებს რესპუბლიკური პარტიის ლიდერი

რომელ მუნიციპალიტეტებში აირჩევენ გამგებლებს მეორე ტურში

გვ. 6

სადაზღვევო კომპანიების საკუთრებაში არსებული საავადმყოფოების შესყიდვაზე ტექნიკური დეტალები ზუსტდება

როგორ აფასებს ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებს, რა ურთიერთობა აქვს საქართველოს პრეზიდენტთან და რას ფიქრობს მთავრობაში არსებულ „მოლაღატეებზე“ **დავით სერგეენკო**

გვ. 3

ირმა ინაშვილი ბრალდებებს პასუხობს

რატომ მოდის „ობიექტივიდან“, უყიდა თუ არა სახლი პარიზში ბიძინა ივანიშვილმა და რა შესთავაზეს კუკავა-ბურჯანაძემ

გვ. 4

პატიმრის დღიური

გვ. 8

რას ნიშნავს „პოლიგლოტი“ ზონაზე

ზაქარია ქუცნაშვილი: „თიანეთში ნაციონალური მოძრაობა და ნინო ბურჯანაძე გარიგდნენ!“

რუსუდან შელია
557-100-768

თიანეთის მუნიციპალიტეტში მეორე ტურისთვის ემზადებიან. თუმცა წინასწარი მონაცემებით, თიანეთის გამგებლობის ერთადერთ ქალბატონ კანდიდატს, ლელა ქიტესაშვილს არჩევნების პირველივე ტურში გამარჯვება არ უნდა გაჭირვებოდა. მუნიციპალიტეტში წინასაარჩევნო ორთაბრძოლის დეტალებზე „ვერსიას“ პარლამენტში თიანეთის მაჟორიტარი დეპუტატი ზაქარია ქუცნაშვილი ესაუბრა.

— ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში, თიანეთში კოალიციის გამგებლობის კანდიდატმა ლელა ქიტესაშვილმა 48,5% მიიღო და ახლა მეორე ტურისთვის ემზადება. პირველივე ტურში რომ ვერ გავიმარჯვეთ, ამას რამდენიმე მიზეზი აქვს: ჯერ ერთი, თიანეთში, სხვა მუნიციპალიტეტებისგან განსხვავებით, ამომრჩევლების საკმაოდ მაღალი აქტივობა დაფიქსირდა. არჩევნებში მონაწილეობა ამომრჩეველთა 60%-ზე მეტმა მიიღო. ამ პროცესს მივესალმები და მიხარია, რომ თიანეთსა და საქართველოში დემოკრატიას ვამკვიდრებთ. თიანეთი თავისუფლების ხარისხით მართლაც სამაგალითოა.

— **არადა, კოალიციის ლიდერებმა მეორე ტური არჩევნებში ამომრჩეველთა პასიურობას დააბრალეს. რატომ ფიქრობთ, რომ ამომრჩეველთა სიმრავლემ თქვენ წინააღმდეგ იმუშავა, თიანეთში მოსახლეობის უმრავლესობა „ქართულ ოცნებას არ ემხრობა?**

— თიანეთში 20 საარჩევნო უბნიდან 18-ში ჩვენმა კანდიდატმა გაიმარჯვა. მეორე ადგილზე გასულ კანდიდატს კი 15%-ით გავასწარით. უბრალოდ, ბარიერის გადასალახად 160 ხმა დაგვაკლდა. 160 ხმის დაკლება ამომრჩეველთა მაღალი აქტივობის შედეგია. პარალელურად, თიანეთის მუნიციპალიტეტის გამგებლობისთვის საკმაოდ ბევრი კანდიდატი იბრძოდა. თანაც არჩევნებამდე ასეთი სურათი გამოიკვეთა: „ქართული ოცნების“ მიერ დანიშნული გამგებელიც კი, ნაციონალური მოძრაობისა და ნინო ბურჯანაძის კანდიდატებს ეხმარებოდა. პარტიული სიით გასული დეპუტატი მეჭიაურიც მათ მხარეს იყო. მეტიც, ნაციონალებს, ნინო ბურჯანაძესა და მწვანეთა პარტიას შტაბები გვერდიგვერდ ჰქონდათ. შესაბამისად, „ქართული ოცნების“ წინააღმდეგ საარჩევნო კამპანიას ერთობლივად აწარმოებდნენ.

— **ნაციონალები და ბურჯანაძე ერთგუნდად როდიდან შეიკრნენ?**

— ნაციონალური მოძრაობა და ნინო ბურჯანაძე თიანეთში გარიგდნენ! ფაქტებს დაგისახელებთ: საკრებულოში ნინო ბურჯანაძე-ერთიანი ოპოზიციის პირველი, მეორე და მესამე ნომერი ნაციონალური მოძრაობის ყოფილი გამგებელი, მისი პირველი მოადგილე და ნაციონალური მოძრაობის ფრაქციის ყოფილი ხელმძღვანელი იყო. ამის შეახებ ნებისმიერმა თიანელმა იცის. ვანო მერაბიშვილისა და ცეზარ ჩოჩელის ბიჭებმა დღეს ნინო ბურჯანაძის სახელი დაირქვეს.

— **არჩევნების შედეგების გამოცხადების შემდეგ ნინო ბურჯანაძე „ქართულ ოცნებას“ ნაციონალური მოძრაობის რეანიმირებაში ამხელდა. ყოფილი სპიკერი ამ პროცესს თავად ხელმძღვანელობს?**

— ვიმეორებ, თიანეთში ნინო ბურჯანაძის წევრებს, რომლებიც ყოფილი ნაციონალები არიან, ბავშვებიც კი იცნობენ. უამრავი ფოტო და ვიდეომასალა არსებობს, სადაც ჩანს, რომ ეს ადამიანები 5-ნომრიანი მაისურით 9 წლის განმავლობაში წინასაარჩევნო კამპანიას ნაციონალების სასარგებლოდ აწარმოებდნენ.

— **და მეორე ტურში, ბურჯანაძე-ნაციონალების გაერთიანება თქვენი კანდიდატის დამარცხებას ვერ შეძლებს?**

— გამორიცხულია! მეორე ადგილზე გასულ ნაციონალური მოძრაობასა და ნინო ბურჯანაძის კანდიდატურას მოღალატე „ქართული ოცნების“ დეპუტატი მეჭიაურიც რომ მიეხმაროს, რომლებიც „მწვანეებთან“ არიან შეკრულნი, გამარჯვებისთვის ხმები მაინც არ ჰყოფნით. ოპონენტები 1000 ხმით დავამარცხეთ. თანაც მეორე ტურში ხმები ერთი ერთში არ გადადის. მეორე ტურში „გადაცმული“ ადამიანების ბრძოლა წარმატებული მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნება, თუ ჩვენ დავიზარებთ და არჩევნებზე აღარ მივალთ. ჩვენი შტაბის წევრები უფრო მობილიზებულნი იქნებიან. საბედნიეროდ, თიანელებმა იციან, რომ საქმე ბოლომდე მისაყვანია. დარწმუნებული ვარ, მეორე ტურში ამომრჩეველი ლელა ქიტესაშვილს დაუჭერს მხარს. მეორე ტურში ბარიერის გადალახვაც არაა აუცილებელი და საუკეთესო შედეგის მქონე იმარჯვებს. ლელამ პირველ ტურში დაახლოებით 3000 ხმა მიიღო. ახლა ჩვენი ამოცანაა, 3000-ზე მეტი ამომრჩევლის ნდობა დავიმსახუროთ.

— **ფიქრობთ, ზოგ მუნიციპალიტეტში მეორე ტურის დანიშვნის მიზეზი ბურჯანაძე-ნაციონალების გარიგება იყო? პარლამენტის თავმჯდომარე საუბრობს საზოგადოების გაფრთხილებაზე, რომ ხელისუფლებაში ყოფნა მუდმივი არ არის.**

— არ ვფიქრობ, რომ ამ არჩევნებში კოალიციისთვის უარყოფითი შედეგი დადგა. 73 მუნიციპალიტეტიდან 52-ში „ქართულმა ოცნებამ“ გაიმარჯვა, 21-ში კი ლიდერობს — ეს უარყოფითი შედეგი არ არის. შეცდომები იყო, ამის უარყოფა სისულელეა. აღმასრულებელ ხელისუფლებაში, კერძოდ, რამდენიმე სამინისტროში პრემიარული სისტემის უხეშად გამოყენება, ასევე მანქანების თემა და საკადრო შეცდომებიც, იძლევა საფუძველს, მიდგომები გადავაფასოთ.

— **დააკონკრეტეთ, „ქართული ოცნებისადმი“ საზოგადოებაში უკმაყოფილების ზრდა ვინ განაპირობა?**

— სასჯელაღსრულების სისტემაში შეცდომა სახეზე იყო. უწყებაში მსგავსი ფაქტები დაუშვებელია. ამ შეცდომის აღიარება მოგვიწია. საკადრო პოლიტიკაში ხალხი უარყოფითად ხვდება იმასაც, რომ მამალი და ზონდერი ნაციონალები დღემდე თანამდებობებს ინარჩუნებენ. კადრების მხოლოდ კვალიფიციურობით შეფასებას თავი უნდა დავანებოთ, რადგან კადრების შესარჩევად მხოლოდ კვალიფიკაცია არასაკმარისია.

— **ადამიანებს თანამდებობაზე პოლიტიკური ნიშნით დანიშნავთ? არ ფიქრობთ, რომ ხელისუფლების მთავარი პრობლემა სწორედ მსგავსი მიდგომებია?**

— არა, კვალიფიკაციის გარდა მეორე განმსაზღვრელ ნიშანს ვგულისხმობ — ადამიანის წარსულსა და საქმიანობას. თუ პირის წარსული კითხვის ნიშნებით სავსეა, რაც უნდა განათლებული და კვალიფიციური იყოს, თანამდებობა არ უნდა შევუნარჩუნოთ. მაგალითად, მერია ზონდერებითაა დაკომპლექტებული. ახალმა მერმა განათლებული, მაგრამ ზონდერი თანამდებობაზე უნდა შეინარჩუნოს? ეს გამოწვევა უნდა მივიღოთ — პროცესი პოლიტიკური ნიშნით დევნაში არ უნდა გადაიზარდოს, მაგრამ მოძალადეები და გამყალბებლები მმართველობის სისტემას უნდა ჩამოვაშოროთ. წინააღმდეგ შემთხვევაში საზოგადოებაში გაჩნდება განცდა, რომ ვინც ხალხზე იძალადა — ყველაფერი შერჩება, თანამდებობასაც შეინარჩუნებს, დაზარალებული ხალხი კი, კვლავ დაუცველი დარჩება.

ელექტროშოკური აპარატები თუ დიდძალი ფული — რისთვის დააკავეს ირმა ნადირაშვილი ბაქოს საბაჟოზე

ერთ-ერთ საინფორმაციო სააგენტოში გავრცელდა ინფორმაცია, რომ საპარლამენტო უმცირესობის წევრები — ირმა ნადირაშვილი და ზურაბ ჯაფარიძე აზერბაიჯანში, ელექტროშოკური აპარატებისა და მილიონი დოლარის გადმოტანის მცდელობის ფაქტზე დააკავეს. ნაციონალური მოძრაობის წევრები ინფორმაციას უარყოფენ და არჩევნების შედეგების გადაფარვას უკავშირებენ. აზერბაიჯანში საქართველოს ელჩი **თეიმურაზ შარაშენიძე** კი ფაქტს ადასტურებს — დეპუტატები ირმა ნადირაშვილი და ზურაბ ჯაფარიძე ბაქოში საბაჟო ტერმინალზე გააჩერეს, სადაც მალე საელჩოს წარმომადგენლებიც მივიდნენ: **„ჩემი ინფორმაციით, საპარლამენტო უმცირესობის წარმომადგენლები აეროპორტის საბაჟო ტერმინალზე გააჩერეს. საუბარია დიდი რაოდენობით არადეკლარირებულ თანხაზე. ვითარებას სწავლობენ და დეტალები მოგვიანებით გაირკვევა“. რაც** შეეხება ელექტროშოკურ აპარატს, ელჩი ამასთან დაკავშირებით ინფორმაციას არ ფლობს და აცხადებს, რომ მას მხოლოდ თანხის თაობაზე აქვს ინფორმაცია: **„კონკრეტულად თანხა არ ვიცით, დაახლოებით მილიონ დოლარზეა საუბარი. ჩვენ მარტო თანხაზე ვიცით და ძიების შემდეგ დაზუსტდება ყველაფერი“.**

თავად ერთიანი ნაციონალური მოძრობის წევრი **ირმა ნადირაშვილი** ამტკიცებს, რომ აზერბაიჯანში საქართველოს ელჩი თეიმურაზ შარაშენიძე ტყუის და ამისთვის პასუხი აუცილებლად მოეთხოვება: **„სისულელეა, დაკავებულები არ ვართ. საბაჟოზე შეჩერების შესახებ ინფორმაცია სისულელეა. ელჩი შარაშენიძე ტყუის და ამის გამო პასუხს აუცილებლად მოვთხოვთ“.**

საპარლამენტო უმცირესობის წევრებთან, ირმა ნადირაშვილსა და ზურაბ ჯაფარიძესთან დაკავშირებული ინციდენტის გასარკვევად საბაჟოზე გაემგზავრა საქართველოს კონსული აზერბაიჯანში ნიკოლოზ გოგიტიძეც.

დაახლოებით 19:00 საათზე გავრცელებული ინფორმაციით კი ბაქოს ჰეიდარ ალიევის საერთაშორისო აეროპორტის საბაჟოდან ირმა ნადირაშვილი გაათავისუფლეს. როგორც საბაჟოს სამსახურში განაცხადეს, მათ მხოლოდ ქალბატონი დააკავეს, ზურა ჯაფარიძის დაკავებას კი არ ადასტურებენ. მათივე ცნობით, დეპუტატის დაკავება პირად ფულს უკავშირდებოდა, თუმცა თანხის ოდენობას არ აკონკრეტებენ.

რუსუდან შელია

ვერსიანიუსი

საქართველოს პრეზიდენტმა საგარეო ურთიერთობათა საკითხებში ახალი მრჩეველი დანიშნა

ამ თანამდებობას თენგიზ ფხალაძე დაიკავებს, რომელიც 2008 წლიდან დღემდე ხელმძღვანელობს გეოპოლიტიკური კვლევების საერთაშორისო ცენტრს.

ამის შესახებ გიორგი მარგველაშვილმა განკარგულება 19 ივნისს გამოსცა.

თენგიზ ფხალაძე აშშ-ს ატლანტიკური საბჭოსა და ბრიტანეთის საერთაშორისო ურთიერთობათა სამეფო ინსტიტუტის წევრია.

სხვადასხვა წლებში იგი იყო საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის დიპლომატიური პროტოკოლის სამსახურის ხელმძღვანელი, საქართველოს პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებულის მოადგილე მცხეთა-მთიანეთის მხარეში, ასევე აზერბაიჯანის რესპუბლიკაში საქართველოს საელჩოს საკონსულო სამსახურის ხელმძღვანელი. კითხულობს ლექციებს საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტში.

პრეზიდენტის მრჩეველი საგარეო ურთიერთობათა საკითხებში ვანო მაჭავარიანი თანამდებობიდან 13 ივნისს გადადგა.

„პირველი“

პრემიების სისტემის სრულყოფასთან დაკავშირებით, ხედვა თითქმის შემუშავებულია

დოკუმენტი, რომელზეც საჯარო სამსახურის ბიურომ და მთავრობის ადმინისტრაციამ იმუშავეს, პრემიერ-მინისტრს 30 ივნისს წარედგინება.

როგორც საჯარო სამსახურის ბიუროს ხელმძღვანელმა ეკა ქარდავამ განაცხადა, მთავრობის ადმინისტრაციის უფროსს, მოადგილესა და პირადად მას, პრემიერ-მინისტრის ინიციატივით, თვენახევრის წინ დაევალათ, პრემიების სისტემის დახვეწასთან დაკავშირებით ერთგვარი ხედვა შეემშავებინათ: **„ამ მიზნით, ჩვენი ინიციატივით და გერმანიის ტექნიკური საზოგადოების ფინანსური დახმარებით, გერმანიიდან მოვიწვიეთ ექსპერტი, იურისტი, პროფესორი დიტერ ომბახი, რომელიც საჯარო სამსახურის ბიუროსთან ერთად, აღნიშნული სისტემის სრულყოფაზე მუშაობს. დღეს გვაქვს სამუშაოს ბოლო დღე. თითქმის მზად გვაქვს ერთგვარი ხედვა პრემიების სისტემის სრულყოფასთან დაკავშირებით, რომელიც პრემიერს 30 ივნისს წარედგინება გადაწყვეტილების მისაღებად“.**

„პირველი“

სადაზღვევო კომპანიების საკუთრებაში არსებული საავადმყოფოების შესყიდვაზე ტექნიკური დეტალები ზუსტდება

როგორ აფასებს ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებს, რა ურთიერთობა აქვს საქართველოს პრეზიდენტთან და რას ფიქრობს მთავრობაში არსებულ „მოღალატეებზე“ დავით სერგეენკო

მაია მიშელაძე
593-51-90-12

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრმა დავით სერგეენკომ 18 ივნისის ბრიფინგი ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შეფასებით დაიწყო. მისი თქმით, მეორე ტური აბსოლუტურად ნორმალური პროცესია, რომელიც ადასტურებს, რომ საზოგადოების შეფასებით, კრიტერიუმები უფრო და უფრო იხვეწება. დავით სერგეენკო დარწმუნებულია, რომ „ქართული ოცნება“ მეორე ტურში დამაჯერებლად გაიმარჯვებს. მინისტრის შეფასებით, უკანასკნელი არჩევნები გამორჩეულად მშვიდი და დემოკრატიული იყო. რაც შეეხება საქართველოს პრეზიდენტს, გიორგი მარგველაშვილს, დავით სერგეენკოს განცხადებით, ბოლო დროს, პრეზიდენტთან საქმიანი ან თუნდაც პიროვნული ურთიერთობები არ შეცვლილა. შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი პრეზიდენტის ყოფილი მრჩევლის, ვანო მაჭავარიანის განცხადებასაც გამოეხმაურა — „მთავრობამ მარგველაშვილისგან გარკვეული დისტანცია დაიჭირა“ და მისი მტკიცებით, ეს სიმართლეს არ შეესაბამება, ხოლო დისტანცირებისა და მთავრობაში გარკვეული ცვლილებების ილუზია მას შემდეგ გაჩნდა, რაც შარშან შემოდგომიდან, საქართველოს ქვეყნის მართვა ახალ კონსტიტუციურ მოდელზე გადავიდა, სადაც პრეზიდენტს სრულიად განსხვავებული ვალდებულებები და ფუნქციები აქვს. მინისტრმა ვანო მაჭავარიანის ის განცხადებაც შეაფასა, თითქოს მთავრობაში 4-5 მოღალატეა და განაცხადა, რომ მინისტრთა კაბინეტში მოღალატეების ძებნა წარმოუდგენელია, პრემიებთან დაკავშირებით კი დააზუსტა, რომ პრემია არ აუღია, რადგან მიიჩნევს, რომ არ დაუმსახურებია. ბრიფინგის განმავლობაში მინისტრმა ДАВИТ СЕРГЕЕНКОМ ჟურნალისტების ბევრ საინტერესო კითხვას უპასუხა.

— ფონიჭალაში, ბოლო თვის მანძილზე, ერთსა და იმავე საბავშვო ბაღში ლეიკემიის ორი ფაქტი დაფიქსირდა. ეს ბავშვები ახლა იაშვილის სახელობის კლინიკაში არიან. ერთსა და იმავე ჯგუფში, ერთსა და იმავე დროს, ლეიკემია ორ ბავშვს აღმოაჩნდა. ეს საკითხი შესასწავლია, უკვე ორჯერ მივმართე ჯანმრთელობის სამინისტროს და, სამწუხაროდ, არც ერთხელ პასუხი არ მიმიღია...

— ჰემატოლოგი არ ვარ, მაგრამ ექიმი ვარ. ლეიკემიის წარმოშობის მიზეზები უცნობია. შესაძლოა თეორიული, ირიბი შეხება გარეფაქტორებთან ჰქონდეს. კვებასთან დაკავშირებული არ არის და მოწამვლით არ ჩნდება. შესაძლოა, ლეიკემია ირიბ შეხებაში იყოს გაზრდილ რადიაციულ ფონთან სადმე. საქართველოს მასშტაბით, ეკოლოგიური ფაქტორები უმკაცრესად კონტროლდება რამდენიმე სამინისტროს, მათ შორის, გარემოს დაცვისა და ჯანდაცვის სამინისტროების მიერ. შარშან შეიქმნა ამ ფაქტორების უმძლავრესი საერთაშორისო მექანიზმი; კერძოდ ქიმიური, ბიოლოგიური, ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების სამსახური. ვთანამშრომლობთ ამერიკულ მხარესთან და გარწმუნებთ, ფონიჭალაში რადიაციული კერა არ არის. ძალიან სამწუხაროა, რომ ორ ბავშვს ერთ დაწესებულებაში დაემართა ლეიკემია, მაგრამ დღეს მედიცინა არ იცნობს ობიექტურ მიზეზებს, რატომ ხდება ასე. რაც შეეხება ეკოლოგიურ ფაქტორებს, უცნობია, ფონიჭალაში ამ მხრივ, რამე განსაკუთრებული ხდება.

— რამდენიმე თვის წინ, თქვენმა სამინისტრომ დააანონსა, რომ ჯანდაცვის მიმართულებით, მაღალმთიან რეგიონებში დაფინანსება იზრდება. იქ სახელმწიფო ჰოსპიტლები აშენდებოდა და კერძო ჰოსპიტლებს ჩაანაცვლებდა. უნდა შექმნილიყო სამუშაო ჯგუფიც... რა ეტაპზეა ეს საქმე და როდის შეიძლება დაიწყოს ამ ჰოსპიტლების მშენებლობა?

— ვეცდები, დავაზუსტო, რეალურად როგორ იყო და რა ხდება ამ მხრივ. გეგმა, ახალი მასობრივი მშენებლობა დაწყებულიყო მაღალმთიან რეგიონებში, არ ყოფილა, ახალი ინფრასტრუქტურული პროექტები იყო და 82 ახალი ამბულატორიის მშენებლობა ხორციელდება მთელი საქართველოს მასშტაბით. რაც შეეხება მაღალმთიან რეგიონებს, აქ ასეთი პარიტეტი გვქონდა — მაღალმთიანი რეგიონების საავადმყოფოების, სამედიცინო დაწესებულებების უმრავლესობა კერძო მმართველობაში იყო და ახლაც ასეა. ბიზნესის კუთხით, ასეთი სამედიცინო დაწესებულებები მათთვის წამგებიანია, ამით განსხვავდება სახელმწიფო კერძო ბიზნესისგან. სახელმწიფო წლის განმავლობაში, სპეცდაფინანსების სახით, 3 500 000 ლარს იხდიდა, რომელიც დოტაციური პროექტია და მაღალმთიან რეგიონებს ეხმარება. იმის გამო, რომ ბიზნესი წამგებიანია, სახელმწიფო ცდილობს, დოტაციით შეინახოს ეს დაწესებულებები. დაახლოებით, სამიოდე თვის წინ, დამატებით 2 000 000 ლარი გამოვყავით, რათა დავხმარებოდით მაღალმთიან რეგიონებს, იმავდროულად, პარალელურად, კერძო მფლობელებს სურვილი აქვთ, სახელმწიფომ ეს დაწესებულებები გამოისყიდოს.

— ბატონო დავით, ნაწილობრივ უპასუხეთ ამ კითხვას, მაგრამ თემას განვავრცობ. „ვერსიის“ ინფორმაციით, სადაზღვევო კომპანიები მზად არიან, გაყიდონ მათ საკუთრებაში არსებული საავადმყოფოები. ცნობილია, რომ პროცესში ჩართული ხართ, რა სტადიაზეა მოლაპარაკება? ასევე, რაიონებში, სადაც სადაზღვევო კომპანიებმა საავადმყოფოები ააშენეს, კატასტროფის ბრიგადები გაუქმდა, რაც სერიოზულ პრობლემებს ქმნის, რა ვითარებაა ამ მხრივ რეალურად?

— პასუხს კატასტროფის ბრიგადებიდან დავიწყებ: ესაა რეფერალური სასწრაფო დახმარების სამსახური, რომელიც საქართველოს მასშტაბით ერთი დაწესებულებიდან მეორეში პაციენტები გადაყავს. ვერ დავადასტურებ, რომ ეს სამსახური გაუქმდა, ფუნქციონირებს და ეს სამსახური რომ არ იყოს, სიკვდილიანობა წარმოუდგენლად მაღალი იქნებოდა. საქმე ისაა, რომ თითოეული რეფერალის გადაყვანისას, კონკრეტული გადაწყვეტილების მიღება ხდება — სად არის უახლოესი ბრიგადა. შესაძლოა, ერთ შემთხვევაში, დავუშვათ, ქართლში თბილისიდან ჩავიდეს, მეორე შემთხვევაში — ქუთაისიდან. გარწმუნებთ, ეს სამსახური არ გაუქმებულა და კვლავ ძალაშია! რაც შეეხება მაღალმთიან რეგიონებში არსებულ საავადმყოფოებს, პრაქტიკულად, მოლაპარაკება ბოლომდე მივიდა, დარჩა ტექნიკური დეტალები და ვფიქრობ, გადაწყვეტილებასაც მალე მივიღებთ. წინასაარჩევნო პერიოდში ფინანსური ინიციატივების გახმოვანება გვეკრძალება, როგორც კი ეს პერიოდი გაივლის, კონკრეტულ გადაწყვეტილებასაც მივიღებთ.

— ქობულეთში სამედიცინო ცენტრის თანამშრომლები სადაზღვევო კომპანია „ალდაგს“ დაუპირისპირდნენ და საავადმყოფო გამოისყიდეს. მიუხედავად იმისა, რომ ცენტრი რამდენიმე თვის წინ საშინელ მდგომარეობაში იყო, თანამშრომლებმა თანამედროვე ტექნიკით აღჭურვეს. როგორ ეხმარება სახელმწიფო თვითდაფინანსებაზე მყოფ საავადმყოფოებს?

— ქობულეთის საავადმყოფო 2012 წლის შემოდგომაზე, პრობლემების ჩამონათვალში, ერთ-ერთი პირველი იყო. იყო განუწყვეტელი გაფიცვები, მედპერსონალისა თუ პაციენტების უკმაყოფილება... პრობლემების შექმნის ბევრი მიზეზიდან მთავარს გამოვყოფ, რაც შევცვალეთ — პაციენტს მივეცით სამედიცინო დაწესებულების თავისუფალი არჩევანის უფლება ანუ რეალური, ღია კონკურენცია. მხოლოდ ამ ცვლილების დამსახურებით, ქობულეთშივე გაჩნდა მეორე საავადმყოფო, რომელიც თვითონ პერსონალმა, ყოველგვარი დოტაციის გარეშე, კარგი მენეჯმენტით ააწყო. მხოლოდ ამ ერთი ფაქტორის შეცვლით, შეუდარებელ პროგრესს მიაღწიეს, რაც საკვანძო საკითხი იყო და შეიქმნა თავისუფალი კონკურენცია. როცა ოპონენტებისგან ვისმენდით, რომ საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამა კონკურენციას გააქრობს და ჩაძირავს, პირიქით მოხდა. ქობულეთის ეს საავადმყოფო კი ერთ-ერთი ნათელი მაგალითია. რაც შეეხება სახელმწიფოს დახმარებას, ქობულეთის საავადმყოფოს განვითარებაში ორმა საკვანძო ფაქტორმა იქონია გავლენა — სახელმწიფო უშუალოდ არ ჩარეულა ანუ მაღალმთიან რეგიონებში არსებული საავადმყოფოებისგან განსხვავებით, სადაც დოტაციის თანხას ვიხდით, მათ თანხით არ დავხმარებივართ. ორი რამ გავაკეთეთ, თავისუფალი არჩევანი ანუ კონკურენციის უზრუნველყოფა და საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამა. შეიქმნა ახალი ფინანსური ნაკადები საავადმყოფოებისთვის, შეიკრიბა კარგი მენეჯერული გუნდი, ენთუზიასტები, რომლებიც პაციენტების ინტერესებზე არიან ორიენტირებული.

— როდის ექნება საქართველოს ახალი, მაღალტექნოლოგიური ინფექციური საავადმყოფო?

— ინფექციური დაავადებების მართვა სახელმწიფოს ერთ-ერთი პრიორიტეტია. ამ დაავადებების მართვით, სხვა მოქალაქეებს ვიცავთ. ინფექციური დაავადებების კონტროლზე სახელმწიფოს ყურადღების მოდუნება ნიშნავს, რომ მივდივართ ეპიდემიებისკენ, ამდენად, მნიშვნელოვანია ეს საკითხი. ორი წელია, ახალი სამედიცინო ცენტრის მშენებლობის მზა პროექტი არსებობს: გამოვყავით თანხა, დავასრულეთ პროექტირება, გამოვლენილია ტენდერში გამარჯვებული და იქ, სადაც უნდა განხორციელდეს რეკონსტრუქცია, შეჭრილია რამდენიმე ფსევდოსოციალურად დაუცველი ოჯახი. თვეების განმავლობაში ვცდილობთ, მოველაპარაკოთ, ალტერნატივა შევთავაზოთ... ჩვენი რესურსიც იწურება და გარკვეულ გადაწყვეტილებამდე მალე უნდა მივიდეთ, მაგრამ დადასტურებულად და კანონზე დაფუძნებით ვამბობ, ვერანაირი ნაბიჯი მათგან ვერ დავინახე. იმედია, ქალაქის ახალი ხელმძღვანელობა მხარში დაგვიდგება და ერთად მოვაგვარებთ საკითხს.

— C ჰეპატიტის მკურნალობასთან დაკავშირებით რა მდგომარეობაა?

— შარშან, სექტემბერში დაწყებულმა პროექტმა, რომელიც მოიცავდა პატიმრების უფასო მკურნალობას, საშუალება მოგვცა, განგვეხორციელებინა პროექტი — არა პატიმრებისთვის, არამედ რიგითი მოქალაქეებისთვის, C ჰეპატიტით დაავადებული 10 000-მდე ადამიანისთვის საკმარისი დოზა შევიძინეთ არსებულ საბაზრო ფასზე 60%-ით ნაკლებად. გაწერილი გეგმით, ამ მედიკამენტების პირველი პარტიის გაცემა 2014 წლის 1 ივლისს უნდა დაიწყოს. 25 ივნისი ბოლო ვადაა, როცა C ჰეპატიტით დაავადებულმა მოქალაქეებმა ანალიზის პასუხი უნდა წარმოადგინონ. მედიკამენტების რაოდენობა საკმარისია.

ვერსიანიუსი

ირაკლი შიხიაშვილი საკრებულოში დაუმსახურებელი პრემიების გაცემას უარყოფს

თბილისის საკრებულოს თავმჯდომარის ირაკლი შიხიაშვილის განცხადებით, საკრებულოში, მათი ხელისუფლების მოსვლის შემდეგ, არასოდეს გაცემულა დაუმსახურებელი პრემია. მისი თქმით, საკრებულო თავის მოვალეობას სრული დატვირთვით ასრულებს და ღირსეულადაც ართმევს თავს: **„სწორედ ამის შედეგია, რომ აღარ ეძლევა საშუალება ზოგიერთ ვაჟბატონს, 50 მილიონობით ლარი არამიზნობრივად გაფლანგოს. მიმაჩნია, რომ თავისმართლება არასწორი იქნება ჩვენი მხრიდან, ვინაიდან საკრებულოში პრემიების გაცემის საკითხს წყვეტს არა ერთი ადამიანი, არამედ კოლეგიალური ორგანო-ბიურო. ბიუროზე ერთსულოვანი და ერთობლივი გადაწყვეტილება იყო მიღებული პრემიერთან დაკავშირებით, მით უმეტეს, ეს პრემიები დამსახურებულად და თანაბრად გაცემულია ყველა თანამშრომელზე“.**

შიხიაშვილის განმარტებით, გავრცელდა ცრუ ინფორმაცია, თითქოს ხდება ადამიანების დიფერენციაცია და ამ ყველაფერს საკრებულო სხვა მიზნებისთვის იყენებს: **„არ ვაპირებდით ამის გასაჯაროებას, მაგრამ, სამწუხაროდ, გვიწევს თქმა — საკრებულოს დეპუტატები კუთვნილი ხელფასიდან ქველმოქმედებაში გასცემდა თანხებს და ჩვენი პარტნიორები იყვნენ თამთა დემურიშვილი და ბერი ანდრიას ფონდი. ესაა სიმსივნით დაავადებული ბავშვების პრობლემების მოსაგვარებლად, კონკრეტულად მათი კვებისთვის გაცემული სოლიდური თანხები. ჩვენი ეს თანამშრომლობა 4 თვეა გრძელდება. ერთი კვირის წინ ქალბატონ თამთასთან მოვილაპარაკეთ, საკრებულოს ხელფასის 100%, კერძოდ, ბოლო ხელფასი მთლიანად გადავრიცხოთ ბერი ანდრიას ფონდში და კიდევ იმ ფონდში, სადაც ადამიანებს სჭირდებათ სოლიდარობა და თანადგომა. თუ ვინმეს აინტერესებდა, რას აკეთებს საკრებულო, სჯობდა, საკრებულოს ბიუროს სხდომის ოქმი თავიდან ბოლომდე წაეკითხა“.**

გავრცელებული ინფორმაციით, ირაკლი შიხიაშვილი თბილისის საკრებულოს თავმჯდომარის რანგში, ივნისის ბოლოს, 350%-იან პრემიას — 12 000 ლარს აიღებს, რასაც ყოველთვიური ანაზღაურება 3 540 ლარიც დაემატება. ითქვა ისიც, რომ ანალოგიური პრემიები გამოიწერა საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეებზე, კომისიებისა და ფრაქციების თავმჯდომარეებზეც.

„ინტერპრესნიუსი“

ირმა ინაშვილი ბრალდებებს პასუხობს

რატომ მოდის „ობიექტივიდან“, უყიდა თუ არა სახლი პარიზში ბიძინა ივანიშვილმა და რა შესთავაზეს კუკავა-ბურჯანაძემ

ნინო კომახიძე
599-95-33-16

ძირითადი მედიასაშუალებებისა და პოლიტიკური ძალებისგან სრული იგნორის პირობებში, ახლადშექმნილმა პარტია საქართველოს პატრიოტთა ალიანსმა 4%-იანი ბარიერი გადალახა, მეტიც, 5%-ზე უკეთესი შედეგი აჩვენა, სხვადასხვა ქალაქის, მათ შორის თბილისის საკრებულოსაც დააკომპლექტებს და არჩევნების მეორე ტურში სახელისუფლო კანდიდატებსაც დაუპირისპირდება. „ობიექტივის“ დამფუძნებლის, ირმა ინაშვილისა და დავით თარხან-მოურავის გუნდით საერთაშორისო დამკვირვებლები და ჩვენი ექსპერტები უკვე დაინტერესდნენ. ალბათ, პარტიის ირგვლივ აგორებული ჭორების ერთ-ერთი მიზეზი ესეცაა — მათ პრორუსებს, სხვადასხვა პოლიტიკურ ძალებთან შეკრულებსა და ბიძინა ივანიშვილის პროტეჟეებს უწოდებენ. ალიანსის მერობის კანდიდატი ირმა ინიშვილი კი „ვერსიისთვის“ ყველა კითხვას პასუხობს და სამომავლო გეგმებსაც გვიმხელს.

— არჩევნების მეორე ტური 4 ოლქში გვექნება: ფოთსა და ოზურგეთში მერობისთვის ვიბრძოლებთ, ლანჩხუთსა და ხულოში გამგებლობისთვის. დაპირისპირება „ოცნების“ კანდიდატებთან მოგვიწევს და დათმობას არავითარ შემთხვევაში არ ვაპირებ. არც სოლიდარობას ველი ოპოზიციური ძალებისგან, რადგან ყველა საკუთარ თავზე შეყვარებული ამპარტავანია! ზოგადად, არჩევნებს რაც შეეხება, საქართველოში 3,5 მილიონი ამომრჩეველი არ არის, არც 2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნებზე მივიდა 1,8 მილიონი კაცი და არც მილიონნახევარი ამომრჩეველი ჰყოლია 15 ივნისის არჩევნებს, შესაბამისად, ნაციონალური მოძრაობა მეორე ადგილზე არ გასულა — იგი გაიყვანეს და ეს არაერთმა კვლევამ თუ ეგზიტპოლმა დაადასტურა. პოლიტიკოსთა იმ კატეგორიას არ მივეკუთვნებით, ვინც თავს იტყუებს, ამიტომ ვაცხადებ, ნაციონალების რეალური რეიტინგი 7%-ია. ჩემთვის სრულიად აუხსნელია ის პროცენტი, რაც ნაციონალებს დაუწერეს. გაბერილია როგორც ამომრჩეველთა, ისე ამ პარტიის მხარდამჭერთა რაოდენობაც, რამაც ჩვენი და ჩვენი ტიპის სხვა პარტიების რეიტინგი ავტომატურად დაწია. პარტია 2 წლის წინ შეიქმნა, მაგრამ მის წევრებს მრავალწლიანი ისტორია და გამოცდილება გვაქვს. სწორედ ეს ისტორია გახდა პარტიის ბიოგრაფია და ხალხიც გვენდო. სხვათა შორის, ჩვენი მხარდამჭერები მათ შორისაც არიან, ვინც არჩევნებში მონაწილეობა საერთოდ არ მიიღო.

— გამოკითხვები და ეგზიტპოლები ახსენეთ — რა შედეგები აჩვენა ამ კერძო კვლევებმა?

— მარტში, საქართველოს მასშტაბით, 100 000 კაცი გამოვკითხეთ, 40 000 მონაცემის დამუშავება მოვასწარით და პარტიის რეიტინგი 28,2% იყო. ჩვენი გამოკითხვებით მეორე ადგილზე გავედით, ნაციონალებმა კი მხოლოდ 7,2% მიიღეს. რაც შეეხება ეგზიტპოლებს, რომელიც უშუალოდ, არჩევნების დღეს ჩავატარეთ: „ქართულ ოცნებას“ 31,1% ჰქონდა, პატრიოტთა ალიანსს — 14,3%, ნაციონალურ მოძრაობას — 7,2, ხოლო არჩევანი 37,2 %-მა არ გაამხილა. მერობის კანდიდატების ეგზიტპოლის შედეგი ასეთი გახლდათ: დავით ნარმანიამ 28,5% მიიღო, ირმა ინაშვილმა — 18,2%, ნიკა მელიამ — 8,3% და არჩევანი 35%-მა არ გაამხილა.

— მარტივად რომ ვთქვათ, არჩევნები გაყალბდა?

— ასე მკვეთრად ვერ ვიტყვი. ეს რომ დავადასტუროთ, ჯერ სამართლებრივი გზა უნდა გავიაროთ, დავაზუსტოთ ბევრი ფაქტი, იურისტებსა და სასამართლოს მივმართოთ... არის უამრავი ოლქი, სადაც ჩემი ხმები პირდაპირ ანულირებულია და სხვა კანდიდატზეა მიწერილი. ჩემი აზრით, ეს არჩევნები არადემოკრატიული იყო და კანდიდატებს ბრძოლა არათანაბარ პირობებში მოუხდათ. არ გვქონდა უფასო საეთერო დრო, მრავალმილიონიანი დაფინანსება და შემოწირულობები, არ გვყავდა წარმომადგენლები საარჩევნო უბნებზე... რეალურად, მეორე ტური „ქართულ ოცნებას“ ჩვენთან აქვს და დროა, გამოჩნდეს — ჩვენ ვართ მეორე და მთავარი ოპოზიციური ძალა ქვეყანაში.

— ისე, თქვენი 5%-იანი რეიტინგი ქართველი ექსპერტების ნაწილისა და უცხოელი დამკვირვებლისთვის სიურპრიზი აღმოჩნდა. ისიც კი ითქვა, ეს პარტია აქამდე ასე აქტიურად რატომ არ ჩანდაო. ამას როგორ ხსნით?

— პარტიის დაბლოკვა და მედიასივრციდან ჩამოშორება, რომელიც ძალებს იკრებს, ცნობილი მეთოდია. ფაქტობრივად, ხალხისთვის საკუთარი თავის გაცნობის დისიდენტურ მეთოდებზე გადავედით. ხალხი ჩვენს შესახებ ინფორმაციას რეგიონებში თავად ავრცელებდა, რადგან საეთერო დრო არც ერთმა ტელეკომპანიამ არ დაგვეთმო. „ოცნებას“ არენაზე ახალი პოლიტიკური ძალის გამოჩენა არ აწყობდა, ნაციონალები კი თავიანთ ტელევიზიებში არ გაგვაჭაჭანებდნენ. სამაგიეროდ, „ობიექტივს“ ეს არ გაუკეთებია — კარი ყველასთვის გავხსენით და ყველა პარტიას დღე-ღამეში 24-წუთიანი უფასო საეთერო დრო ვაჩუქეთ წინასაარჩევნოდ.

— დღეს თქვენ მიმართ ინტერესი დიდია, რადგან ახალი ძალა ხართ. უპასუხეთ ყველა ბრალდებას — რატომ გიწოდებენ ნაციონალები პრორუსებს და როგორ აპირებთ მათ პოლიტიკურ დამარხვას?

— ბარიერი რომ გადავლახეთ, ნაციონალური მოძრაობა ისე შეშფოთდა და ისეთი აჟიოტაჟი ატეხა, გავოცდი. მათ ადგილას ამ განცხადებებს მოვერიდებოდი. ჩემთვის რუსეთი ოკუპანტი აფხაზეთის ომის შემდეგ გახდა, სადაც ვიყავი და ჩემი მეგობრები 500-კილოგრამიან რუსულ ბომბზე აფეთქდნენ. ვერ ვიხსენებ, ბატონ უგულავასა და ნაციონალების სხვა ლიდერებს საქართველოს დამოუკიდებლობისთვის ამ ომში თავგანწირვით ებრძოლათ. ისინი ჩვენში რეალურ ძალასა და კონკურენტს ხედავენ, თორემ არც პირველები ვართ და არც უკანასკნელები, ვისაც პრორუსის იარლიყს აწებებენ — ეს მათი სტილი და ხელწერაა. ნაციონალებმა მთელი ქვეყანა რუსეთის აგენტებად გამოაცხადეს, რაც სწორედ რუსეთის აგენტების ხელწერაა. ასე ეძახდნენ „ოცნების“ ლიდერებსაც და კიდევ ბევრ პარტიას. სხვათა შორის, „ოცნებას“ დასავლეთში საინფორმაციო ომი ისევ მოსაგები აქვს, რადგან ბრიუსელსა და ვაშინგტონში ნაციონალების მიერ კრემლის აგენტებად არიან შერაცხულნი, „ოცნება“ კი ამის წინააღმდეგ არაფერს აკეთებს, რადგან საკუთარ თავზე შეყვარებული პოლიტიკური ძალაა, რომელიც არც რჩევას ითვალისწინებს და არც კრიტიკაზე რეაგირებს.

— ანუ ამიერიდან „ოცნების“ სრულფასოვანი ოპოზიცია ხართ და არა ახალი ქდმ — ეს კიდევ ერთი იარლიყია, რომელიც თქვენს პარტიას მიაწებეს.

— ჩვენი სატელიტობა იმაში გამოიხატებოდა, რომ ყველგან მბლოკავდნენ და პოლიტიკურად დისკრიმინებული ვიყავი?! ხელისუფლება ქდმ-ს ასე არ ექცეოდა. ამ პარტიას დიდი ბიუჯეტი და ყველა ტელეარხი ჰქონდა. ჩვენ რამე ამდაგვარს გვატყობთ?! თუ ხელისუფლება გეხმარება, ეს სადღაც რაღაცაში აუცილებლად დაგეტყობა. ეს არჩევნები სულ 150 000 ლარი დაგვიჯდა. იმას კი ნამდვილად ვადასტურებ, რომ 1,5 წლის წინ ბიძინა ივანიშვილს შევხვდი და იმაზე ვისაუბრეთ, რომ ქვეყანაში მრავალპარტიული სისტემაა საჭიროო. სულ ეს იყო.

— აუცილებლად გაიხსენებენ ბიძინა ივანიშვილის განცხადებასაც, რომ პოლიტიკურ ველზე ახალი პარტიები, მაგალითად, ნინო ბურჯანაძე და ირმა ინაშვილი გამოჩნდნენო. ეს ფრაზა და არჩევნების შედეგები დამთხვევაა?

— რა ვქნა, გაიხსენონ! ფაქტია, მთავრობას ჩვენთვის და ქვეყნისთვის არაფერი გაუკეთებია — პირიქით, ცდილობენ პოლიტიკური სისტემა მთლიანად ერთპარტიული იყოს. დიდი ზეწოლა იყო რეგიონებში სუს-ის, გუბერნატორების მხრიდან. მე რომ ხელისუფლებაში ვიყო, იმერეთის გუბერნატორს დღესვე გავათავისუფლებდი. ის უხეშად ერეოდა საარჩევნო პროცესებში და როცა ადგილობრივი უშიშროების სამსახურის უფროსი იყო, პოლიტიკურ პროცესებშიც აქტიურად გახლდათ ჩაბმული. ფაქტებიც მაქვს, დამადასტურებელი მასალებიცა და დეპუტატების ჩვენებებიც. ამიტომ პოლიტიკური ბრძოლის გაგრძელებასა და „ოცნებისა“ და ნაციონალების ოპონენტობას ვაპირებთ, თუმცა ნაციონალები ჩემთვის ოპონენტები კი არა, კრიმინალური დაჯგუფების წევრები არიან, რომლებიც უნდა გასამართლდნენ. სწორედ იმისთვის ვიზრუნებთ, რომ ხელისუფლება ვაიძულოთ, ყბადაღებული საქმეები გამოიძიოს და დამნაშავეები დასაჯოს! „ოცნება“ მიწაზე უნდა დაეშვას, რადგან მასა და ხალხს შორის დიდი უფსკრულია.

— კიდევ ერთ ბრალდებას მოგწერენ, ალბათ, რიტორიკის გამო — რა აკავშირებს თქვენს პარტიას ნინო ბურჯანაძის პარტიასთან?

— ყველა პარტია რაღაცით ჰგავს ერთმანეთს, ასეთ მსგავსებას ჩვენსა და რომელიმე სხვა პარტიას შორის ვერ ვხედავ. მკაფიო ნიშა გვაქვს, ყველასგან გამორჩეული და დარწმუნებული ვარ, ირმა ინაშვილიც არავის ჰგავს ისევე, როგორც საქართველოს პატრიოტთა ალიანსი. ძალიან ბევრი რამ მესმის საკუთარ თავზე, მათ შორის ისიც, რომ თურმე, ბიძინა ივანიშვილმა პარიზში ბინა მიყიდა. გამეხარდებოდა, ასე ყოფილიყო, მაგრამ ტყუილია. ჩვენი ბუნებიდან გამომდინარე, ვერავის სატელიტები ვერც და არც ვიქნებით. ზოგადად, ოპოზიციასთან ჩვენს ურთიერთობას რაც შეეხება, ყველას ვთავაზობდით, მხარი ჩემი კანდიდატურისთვის დაეჭირა, რადგან გამოკითხვებით, ყველაზე მეტი შანსი მე მქონდა. თუმცა საკუთარი ამბიცია არავინ დათმო და არც ჩვენ შევედით არც ერთ კოალიციაში, იმის მიუხედავად, რომ იყო შემოთავაზებები კახა კუკავასა და ნინო ბურჯანაძისგანაც.

— მაშინ მითხარით თქვენი სამომავლო გეგმები და ის კონკრეტული საკითხები, რასაც საკრებულოში შესვლის მერე წამოწევთ?

— დარჩენილ თვენახევარს იმისთვის გამოვიყენებთ, მეორე ტურისთვის მოვემზადოთ და არჩევნები მოვიგოთ. ივლისში შეხვედრები გვაქვს ვაშინგტონში, კონგრესსა და სენატში. თბილისის საკრებულოში ჩვენგან 2 წარმომადგენელი შევა: სოსო მანჯავიძე და მანუჩარ მაჩაიძე. საქართველოს მასშტაბით, რაიონებსა და ქალაქებში 28 წარმომადგენელი გვეყოლება. არის ფრაქციების შექმნის შანსიც. ჩვენი პრიორიტეტი ადამიანია, რადგან ქვეყანაში მწვავე სოციალური კრიზისია. ხალხი ფიზიკურად გვყავს გადასარჩენი და გზები ამის მერე უნდა დავაგოთ. ამიტომ ჩვენი პოზიცია ასეთია: ჯობია, ძველი გზა შევაკეთოთ და გაჭირვებულ ადამიანებს საკვები, სამოსი და მედიკამენტი მივცეთ. ახლა ორიენტირებული იმაზე ვართ, რომ სადაც შევძლებთ, მუნიციპალური საავადმყოფოების, ასევე, სწრაფი ბინათმშენებლობის საკითხი გავიტანოთ, რათა იპოთეკარებსა და უსახლკაროებს თავშესაფარი ჰქონდეთ. გარდა ამისა, თბილისი რეფერენდუმების ქალაქად უნდა იქცეს — არც ერთი გადაწყვეტილება აღარ უნდა მიიღონ მოსახლეობის გარეშე! ახლა არჩევნებში მონაწილეობა მარტო საქართველოს ორ მესამედში მივიღეთ, დღეიდან კი პარტიული სტრუქტურის გაძლიერებაზე ვიფიქრებთ. მე პარტიის გენერალური მდივანი გავხდები, „ობიექტივიდან“ წამოვალ და საპარლამენტო არჩევნებისთვის მოვემზადები. არავითარ ალიანსში შესვლაზე არ ვფიქრობთ და საპარლამენტო არჩევნებშიც მარტო მივიღებთ მონაწილეობას!

ვერსიანიუსი

მარნეულის 25-ე და 57-ე უბნებში ხელახალი კენჭისყრა 29 ივნისს ჩატარდება

ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში აცხადებენ, რომ გადაწყვეტილება ორივე უბანში შედეგების გაბათილების შემდეგ მიიღეს. ცესკო-ს პრესსპიკერის ეკა აზარაშვილის თქმით, ყველა საჩივრის განხილვა კანონმდებლობის შესაბამისად მოხდება: **„მედიასაშაულებებით გავრცელებული ვიდეოების შესწავლისა და შესაბამისი გადაწყვეტილების მიღების შემდეგ, მარნეულის ორი უბნის, 25-ე და 57-ე უბნის შედეგები გაუქმებულია. ამ ორ უბანზე განმეორებითი კენჭისყრა 29 ივნისს ჩატარდება. რაც შეეხება საჩივრებს, საარჩევნო კომისიები ყველას განიხილავს, რომლითაც უფლებამოსილმა პირებმა მიმართეს, მაგრამ ეს საარჩევნო კანონმდებლობის ჩარჩოებში უნდა მოხდეს“.**

მარნეულის ორ უბანზე არჩევნების გაყალბების ფაქტების ამსახველი ვიდეომასალა ნაციონალურმა მოძრაობამ გაავრცელა. ფაქტებზე შსს გამოძიებას აწარმოებს.

„პირველი“

თავდაცვის სამინისტრო Cy-25 ტიპის თვითმფრინავებს ყიდის

თავდაცვის სამინისტროში განმარტავენ, რომ თვითმფრინავები ამორტიზებულია და გარემონტებას არ ექვემდებარება. მოიერიშეების გაყიდვით მიღებული თანხა კი შეიარაღებული ძალების განვითარებას მოხმარდება: **„შეიარაღებული ძალების საავიაციო პარკი საჭიროებს განახლებას. მათ შორის არის ხუთი ერთეული Cy-25 ტიპის მოიერიშე თვითმფრინავი, რომელთა გაყიდვაც იგეგმება, რადგან ისინი ამორტიზირებულია და გარემონტებას არ ექვემდებარება. რამდენიმე წელია, მათი ექსპლუატაცია სიძველის გამო ვერ ხერხდება. Cy-25-ის გაყიდვის საკითხი დღის წესრიგში დგას, თუმცა ზუსტი დრო განსაზღვრული არ არის. მოიერიშეების გაყიდვით მიღებული თანხები მოხმარდება საქართველოს შეიარაღებული ძალების განვითარებას. თავდაცვის სამინისტროს ამოცანაა, საქართველოს ჰქონდეს თანამედროვე შეიარაღება და საავიაციო პარკის განახლებაც ამ მიზანს ემსახურება“.**

„პირველის“

ლევან ბერძენიშვილის სკანდალური შეფასებები

რუსუდან შელია
557-100-768

როდის დამარცხდება „ქართული ოცნება“, რაფომ ვერ შესრულდა ზოგი დაპირება და რაფომ ურჩევნია მთავარ ოპონენტად ნაციონალური მოძრაობა რესპუბლიკური პარტიის ლიდერს

ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში „ქართული ოცნების“ წარმატებაზე საუბრობს, თუმცა არც იმის აღიარება უჭირს, რომ საზოგადოების ნაწილი, დაპირებების შეუსრულებლობის გამო, იმედგაცრუებულია. არჩევნების შედეგებსა და პოლიტიკურ ასპარეზზე ახალი ძალების გამოჩენას „ვერსიასთან“ საპარლამენტო უმრავლესობის წევრი, რესპუბლიკელი ლევან ბერძენიშვილი აფასებს.

— მიუხედავად იმისა, რომ მეორე ტური დაინიშნა, ნათელია, დედაქალაქის მერი დავით ნარმანია გახდება, თუმცა გარანტირებული გამარჯვების მიუხედავად, არჩევნების შედეგებმა დაგვანახა, რომ მმართველი კოალიციის მიმართ საზოგადოების მხარდაჭერა მუდმივი არ იქნება. ხალხმა „ქართულ ოცნებას“ უთხრა, რომ მისგან მეტს მოითხოვს და, თუ ყველა დაპირება არ შესრულდება, კოალიციას მომავალში პრობლემები შეექმნება.

— ექსპერტებმა უკვე გიწინასწარმეტყველეს საპარლამენტო არჩევნებზე — თუ კოალიცია ადგილობრივი არჩევნების შედეგს წარმატებულს უწოდებს, 2 წელიწადში მეტ „წარმატებას“ მიაღწევსო.

— ბოლო წლებში „ქართულ ოცნებას“ კი არა, ოპოზიციას აკლდება ხმები. ნაციონალური მოძრაობა ის ძალაა, რომელიც პარლამენტში 40%-ითაა წარმოდგენილი, დღეს კი 27%-ით ამაყობს. რაც შეეხება ექსპერტებს, წარმოდგენაც არ აქვთ, რაზე საუბრობენ. „ქართული ოცნება“ საპარლამენტო არჩევნებს ბევრად მომზადებული შეხვდება. ადგილობრივ არჩევნებზე მეორე ტური მხოლოდ იმის გამო დაგვჭირდა, რომ ბარიერი 50%-მდე ავწიეთ. ამერიკაში ვერ იღებენ კანდიდატები 50%-ს, საფრანგეთში 40%-იც კი უხარიათ, მაგრამ ზოგიერთი ექსპერტი იცით, როგორია — ადრე ჩვენთან იყო, შემდეგ კოალიციიდან გააგდეს და ახლა საზოგადოებას არწმუნებს, კოალიციაში რომ ვყოფილიყავი, ყველაფერი იდეალურად იქნებოდაო.

— დაასახელეთ თქვენგან გაგდებული ექსპერტები! ისე, ხელისუფლებაში ყოფნისას დაახლოებით იგივე დამოკიდებულება ჰქონდათ ნაციონალებს იმ ექსპერტების მიმართ, ვინც პოლიტიკურ კრახს უწინასწარმეტყველებდა.

— ექსპერტების დასახელება რომ მინდოდეს, 33 ქართული ასო შესანიშნავად ვიცი და აქამდე ვიტყოდი. მიმხვედრი მიხვდება! ექსპერტებს დავამშვიდებ, „ქართული ოცნება“ გულხელდაკრეფილი არ შეხვდება საპარლამენტო არჩევნებს და გამარჯვებისთვის იბრძოლებს. დადგება დრო, „ქართული ოცნება“ დამარცხდება, მაგრამ გარწმუნებთ, ეს 2016 წელს არ მოხდება. ზოგადად, როცა ექსპერტი ჭკვიანურს ამბობს, ვითვალისწინებთ, მაგრამ ექსპერტი არის ადამიანი, რომელიც წერს, ვითარებას აანალიზებს და დასკვნებს შემდეგ აკეთებს. შეფასებებს არჩევნების მეორე დღესვე ჟურნალისტებთან ზეპირად რომ აკეთებს, ის ჩემთვის ექსპერტი არ არის, თუმცა როგორი პოლიტიკოსებიც არიან საქართველოში, ისეთი ექსპერტები გვყავს. სამწუხაროდ, ჩვენ არ ვზრდიდით პოლიტიკოსებს, მით უმეტეს, ექსპერტებს და, შესაბამისად, ქვეყანაში ამ მიმართულებით დაბალი დონეა.

— სამაგიეროდ, პოლიტიკოსებმა მაღალი პრემიების გამოწერა ისწავლეს... ირაკლი შიხიაშვილი 15 ათასლარიანი პრემიის გარეშე საკრებულოს არ ტოვებს.

— საქართველოს პარლამენტმა პრემიები მოსვლის დღიდან აიკრძალა. იმედია, პრემიებისა და ხელფასების ოდენობა საკანონმდებლო დონეზე გაიწერება, თუმცა პრემიებთან დაკავშირებით ტყუილ-მართლის გარკვევა მიჭირს. საზოგადოების ნაწილს რომ ჰკითხოთ, პარლამენტის წევრებს ხელფასი საერთოდ არ უნდა ჰქონდეთ. ადრე ჩემი მეზობლების ნაწილსაც ეგონა, რომ პარლამენტში ჩემზე უკეთესები იქნებოდნენ... კი, ბატონო, არ მაქვს პრობლემა, შეიძლება ადამიანი ასე ფიქრობდეს... თუ პრემიების საკითხი კანონში საფუძვლიანად არ გაიწერება, მსგავსი საუბრები არასოდეს დამთავრდება. რაც შეეხება შიხიაშვილს, ყველამ იცის, რომ იგი ჩემი გულის სიყვარული არ არის და სწორედ ამიტომ არ იყო თავის დროზე საკრებულოს თავმჯდომარის პოსტზე შიხიაშვილი რესპუბლიკელების კანდიდატურა. პოლიტიკოსი, რომელიც დღეს ერთ პარტიაშია, ხვალ მეორეში, ჩემ ნდობას არ იმსახურებს. მრავალპარტიულობას კანონი არავის უკრძალავს, მაგრამ მეც მაქვს უფლება, ასეთი ადამიანები არ მომწონდეს.

— კოალიციაშიც ბევრია სხვა პარტიიდან „ქართულ ოცნებაში“ პორტირებული. მათაც შიხიაშვილის ბედის გაზიარება მოუწევთ?

— კონკრეტულად, ვერავისზე ვიტყვი, მაგრამ ზოგადად, მრავალპარტიულ ადამიანებს პატივს არ ვცემ. მე რესპუბლიკურ პარტიაში მოვკვდები! სწორედ ამიტომ არ მივეცით ყოფილ ნაციონალებს თბილისში „ქართული ოცნების“ სიაში მოხვედრის შესაძლებლობა.

— შეუსრულებელ დაპირებებზე საუბრობდით... ჯერ კიდევ მაშინ, როცა ბიძინა ივანიშვილი პრემიერ-მინისტრი იყო, კოალიცია საზოგადოებას არწმუნებდა, დაპირებები 100%-ით, ზოგ შემთხვევაში კი გადაჭარბებით შესრულდა. „ქართული ოცნების“ რეიტინგზე მისი ლიდერების ზედმეტმა თვითდაჯერებამაც ხომ არ იმოქმედა უარყოფითად?

— თუ ყველა დაპირება შესრულდა, აბა, ახლა რას ვაკეთებთ? საუბარია იმაზე, რომ დაპირებები დაგეგმილი ტემპით სრულდება, უბრალოდ, ყველა ადამიანს საუბრის ინდივიდუალური მანერა და ლექსიკა აქვს. ზოგს ურჩევნია თქვას, ყველაფერი სწორად მიდისო, ზოგი კი ამბობს, რომ უკვე ყველაფერი გამოსწორებულია. არ ვფიქრობ, ეს გადაჭარბებული თავდაჯერებაა, უბრალოდ, საზოგადოებასთან ურთიერთობის სტილია. სათანადო გამოცდილების შემდეგ, საუბრებიც უფრო ადამიანური იქნება. ჩემი აზრით, ყველას თავისი მიდგომა აქვს. ჩემი პოზიცია კი ასეთია: რა თქმა უნდა, ყველა დაპირება ჯერ არ შეგვისრულებია. ოთხი წლის შემდეგაც ისე გამოვა, რომ ყველა დაპირება ვერ შევასრულეთ — შეუძლებელია, აბსოლუტურად ყველა საქმე სწორად გაკეთდეს.

— ანუ თქვენი ამომრჩეველი შეგნებულად მოატყუეთ?

— თავისმოტყუებას აზრი არ აქვს, გასაგებია, ნავთობპროდუქტის გადასახადის დაწევა იმ მასშტაბით ვერ შევძელით, როგორც ვპირდებოდით, მაგრამ ამ მიმართულებით სწორი ნაბიჯები გადავდგით. ასევე, საგანმანათლებლო სფეროში რაღაც დაპირებების შესრულება დავიწყეთ, თუმცა ჯერ კიდევ ძალიან შორს ვართ იმისგან, რისი გაკეთებაც რეალურად გვინდა. როგორც ნაციონალები და მანამდე კიდევ კომუნისტები ამბობდნენ, გასაკეთებელი კიდევ ბევრია. მთავარია, კოალიციის არც ერთი ლიდერი არ გაჯიუტებულა და არ უთქვამს, რომ ქვეყანაში დაგროვილ პრობლემებს ვერ ხედავს. ჩვენ არ ვართ ის ხელისუფლება, რომელიც იტყვის, რომ თუნდაც მარნეულში არაფერი მომხდარა. პირიქით, საქმეს დეტალურად გამოვიძიებთ და დავსჯით ყველას, ვინც კანონი დაარღვია. თელავში გამგებლის ასარჩევად 30 ხმა დაგვაკლდა, მაგრამ მისი მოპარვა არც კი გვიკადრია. არ მითხრათ, მიხეილ სააკაშვილიც ასე მოიქცეოდა, რომელმაც საპრეზიდენტო არჩევნებში 42% მიიღო და 52% დაიწერა.

— ადგილობრივ არჩევნებშიც არაერთი დარღვევა დაფიქსირდა. მაგალითად, იმ უბანზე, სადაც 100 ამომრჩეველი მივიდა, 900-ზე მეტი საარჩევნო ხმა დააფიქსირეს. ამომრჩევლის დაბალი აქტივობის ფონზე, კოალიცია ხმათა რაოდენობის გაზრდის აუცილებლობის წინაშე დადგა?

— მსგავს დარღვევებს შესაბამისი ორგანოები შეისწავლიან. სადაც მექანიკური შეცდომები იყო, გასწორდა, ხოლო სადაც გაყალბების მცდელობა დაფიქსირდა, არ აქვს მნიშვნელობა, ჩვენი მხარდამჭერია თუ ოპოზიციისა, აუცილებლად დაისჯება. გაყალბების ნებისმიერი მცდელობა საქართველოს ინტერესების წინააღმდეგ მოქმედებს და ქვეყნის დემოკრატიულ იმიჯს აკნინებს. შესაბამისად, გამყალბებლები სასტიკი დამნაშავეები არიან. ეს ყველაფერი იმის გამო მოხდა, რომ 24 წლის განმავლობაში გაყალბებისთვის არავინ დასჯილა, მეტიც, შენიშვნაც არავის მიუღია. ზოგიერთი აქეთაც კი გვდებს ბრალს. მათ შორის, ზურაბ ჭიაბერაშვილი, რომელიც ცესკო-ს თავმჯდომარეობისას მამა აბრამის ბატკანი ნამდვილად არ ყოფილა. რაც შეეხება ამომრჩევლის დაბალ აქტივობას, ამას რამდენიმე მიზეზი აქვს: ჯერ ერთი, ადგილობრივ არჩევნებზე 50%-ზე მეტი ამომრჩეველი არასოდეს მოსულა, თანაც ივნისი საარჩევნოდ აქტიური დრო არ არის და მესამე — ვიღაცებს გული აუცრუვდათ, თუმცა ვერც ალტერნატივას ხედავენ. ეს ის ადამიანები არიან, რომლებიც „ქართულ ოცნებას“ მხარს არ უჭერენ, მაგრამ არც მის მოწინააღმდეგეს ემხრობიან. სწორედ ამ ყველაფრის ერთობლიობა იძლევა არჩევნებში რამდენიმეპროცენტიან განსხვავებას.

— ამ ფონზე, ასპარეზზე ახალი პოლიტიკური ძალები ჩნდება. მაგალითად, პატრიოტთა ალიანსმა პირველივე ცდაზე 5%-ზე მეტი მიიღო.

— ნინო ბურჯანაძესა და პატრიოტთა ალიანსს ეგონა, ბევრად მეტი მხარდამჭერი ჰყავდათ. ჩემი აზრით კი, იმაზე მეტი ხმა აიღეს, ვიდრე რეალურად ეკუთვნით, მაგრამ ეს მათ ორგანიზებულობაზე მიუთითებს. ჩემში ეს ორი ძალა სიმპათიას არ იწვევს. კარგია, რომ მათ ასეთი დაბალი მაჩვენებელი აქვთ და არა მეტი. საქართველოში მოსახლეობის 80% ამბობს, რომ ევროპაში უნდა. შესაბამისად, 20%-ს რუსეთში ურჩევნია. ამ 20%-ის ნახევარს ნინო ბურჯანაძე მოსწონს, რაც გასაკვირი არ არის. მე ევროპა მომწონს და ღმერთმა ხელი მოუმართოს მათ, ვინც ევრაზიულ კავშირზე ოცნებობს. მათ პოზიციის შეცვლას ვერ მოვთხოვთ, თუმცა ასეთი პოლიტიკური ძალების მხარდაჭერა 10%-ს ვერ გასცდება. ბურჯანაძე ამ მაჩვენებელზე გაჩერდა კიდეც. ახლა მას, იმავე მინდორზე კონკურენტი გამოუჩნდა. ზოგადად, რაც უფრო არაპატრიოტულია ძალა, მით მეტად იყვირებს მის სახელწოდებაში სიტყვა — პატრიოტი, მაგრამ ყველას აქვს უფლება, ვინც მოსწონს, მხარი დაუჭიროს. ჩვენ ამ პარტიების მიერ აღებულ ხმებს პატივს ვცემთ და მათ აკრძალვას არ ვაპირებთ.

უბრალოდ, არ მესმის, ნინო ბურჯანაძე რატომ გვაბრალებს რესპუბლიკელებს იმას, რომ თვითონ ნაციონალების დამარცხებას ვერ ახერხებს.

— საზოგადოების ნაწილიც ფიქრობს, რომ „ქართულმა ოცნებამ“ ნაციონალური მოძრაობის რეანიმირება მოახერხა.

— ხელისუფლებას არ მოსწონს ნაციონალური მოძრაობა და ვფიქრობ, ეს გვეტყობა კიდეც, თუმცა ერთ რამესაც გეტყვით: ოპონენტებად მეორე, მესამე და მეოთხე ადგილზეც ის ადამიანები მირჩევნია, რომლებსაც ევროპასთან პრობლემები არ აქვს. ნინო ბურჯანაძის ორიენტაცია მოსკოვის მიმართულებით ჩემ სიმპათიას არ იმსახურებს. გინდა, პუტინი უყვარდეს და გინდა, ჟირინოვკსი, ეს კანონდარღვევა არ არის, მაგრამ პირადად მე, ოპოზიციაშიც ის ადამიანები მირჩევნია, რომლებიც ევროპულ კურსში კი არა, სხვა მიმართულებით გამიწევენ ოპონირებას.

ვერსიანიუსი

გლობალური მშვიდობის ინდექსში საქართველოს რეიტინგი გაუმჯობესდა

2014 წლის გლობალური მშვიდობის ინდექსში საქართველო 28 საფეხურით დაწინაურდა და 162 ქვეყანას შორის 2,22 ქულით 111-ე პოზიციაზე აღმოჩნდა.

ეკონომიკისა და მშვიდობის ინსტიტუტის ყოველწლიური ანგარიშის თანახმად, მსოფლიოს სხვა ქვეყნებთან შედარებით, საქართველოში ყველაზე დიდი ცვლილებები მოხდა პოლიტიკური სტაბილურობის გაუმჯობესების კუთხით.

2014 წლის გლობალური მშვიდობის ინდექსის თანახმად, უკანასკნელი შვიდი წლის განმავლობაში, მსოფლიო ნაკლებად მშვიდობიანი ადგილი გახდა.

ეკონომიკისა და მშვიდობის ინსტიტუტის მონაცემებით, მსოფლიოს 162 ქვეყნიდან 111 ქვეყანაში მშვიდობის კუთხით მდგომარეობა მკვეთრად გაუარესდა, 51 ქვეყანამ კი, ინდექსში მდგომარეობა გაიუმჯობესა.

ანგარიშის თანახმად, რიგ ქვეყნებში გაიზარდა როგორც იძულებით გადაადგილებულ პირთა რაოდენობა, ასევე ტერორისტთა აქტივობა.

გასული წლის ყველაზე ნეგატიურ მოვლენად ინდექსის ავტორები უკრაინასა და სირიაში მიმდინარე კონფლიქტს, სამხრეთ სუდანის სამოქალაქო ომს და ავღანეთში, ერაყსა და ლიბანში ტერორისტთა დაჯგუფების გააქტიურებას ასახელებენ. ამასთან, გაიზარდა ტერაქტების დროს დაღუპულთა რიცხვი, რომელიც ინდექსის თანახმად, 12 000-დან 14 000-ს აღწევს.

ეკონომიკისა და მშვიდობის ინსტიტუტის წლევანდელი ანგარიშის მონაცემებით, ევროპა ყველაზე მშვიდობიანი რეგიონია, რომლის 14 ქვეყანა ყველაზე მშვიდობიან ქვეყნებს შორის მოხვდა. გლობალური მშვიდობის ინდექსის მიხედვით, მსოფლიოს ყველაზე მშვიდობიანი ქვეყნები ისლანდია, დანია, ავსტრია, ახალი ზელანდია და შვეიცარია არიან. ყველაზე არამშვიდობიანი ქვეყნები კი, სირია და ავღანეთი არიან. რაც შეეხება რუსეთს, იგი 152-ე ადგილზე აღმოჩნდა, უკრაინა 142-ზე, სომხეთი 97-ზე, აზერბაიჯანი 123-ზე, მოლდოვა 71-ზე. გლობალური მშვიდობის ინდექსში საქართველო პირველად 2010 წელს მოხვდა და 149 ქვეყანას შორის 142-ე ადგილზე იყო, 2011 წელს – 153 ქვეყანას შორის 134-ე ადგილზე, 2012 წელს – 158 ქვეყანას შორის 141-ე, ხოლო 2013 წელს 162 ქვეყანას შორის 139-ე პოზიცია ეკავა. ეკონომიკისა და მშვიდობის ინსტიტუტის წლევანდელ ანგარიშში სულ 162 ქვეყნის მონაცემები მოხვდა. კვლევის ფარგლებში გაიზომა ქვეყნებში საზოგადოების უსაფრთხოების, კონფლიქტისა და შეიარაღების ხარისხის დონეები.

„ინტერპრესნიუსი“

13 მუნიციპალიტეტში გამგებლების ასარჩევად მეორე ტური გაიმართება

რუსუდან შელია
557-100-768

ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შედეგების მიხედვით, მეორე ტურში მონაწილეობა არამხოლოდ მერობის, გამგებლობის რამდენიმე კანდიდატსაც მოუწევს. ცესკო-ს მონაცემებით, ხულოში, ქობულეთში, მარტვილში, ლანჩხუთში, ტყიბულში, ხონში, ბაღდათში, თერჯოლაში, ყვარელში, თელავში, ახმეტაში, თიანეთსა და გორში სახელისუფლო კოალიციის წარმომადგენლებმა ამომრჩეველთა 50%-ზე ნაკლები ხმა მიიღეს.

კერძოდ, ყვარელში გამგებლობის კანდიდატების პოზიციები ამგვარად გადანაწილდა: „ქართული ოცნების“ წარმომადგენელ ილია მზექალაშვილს 7249-მა ამომრჩეველმა დაუჭირა მხარი და ხმათა 48, 68% მიიღო. მისი კონკურენტი, ნაციონალური მოძრაობის კანდიდატი ხატია დეკანოიძე კი 3610 ხმით (24,24%) მეორე ადგილზე გავიდა. „ნინო ბურჯანაძე — ერთიანი ოპოზიციის“ კანდიდატმა ილია ბურკიაშვილმა 7, 25%-იანი ნდობის მანდატი დაიმსახურა. 0,12% დააკლდა გამარჯვებისთვის თელავში „ქართული ოცნების“ გამგებლობის კანდიდატ ალექსანდრე შათირიშვილს, რომელმაც 49,88% მიიღო. მისმა კონკურენტმა, ნაციონალური მოძრაობის კანდიდატმა გიორგი ბოტკოველმა კი — 26,88%. თელავში, „ნინო ბურჯანაძე-ერთიანი ოპოზიციის“ წარმომადგენელი ჯემალ ბაღათრიშვილი 21,26%-ით, მესამე ადგილზე გავიდა, ახმეტაში კი, შედეგები ასე გადანაწილდა: ბექა დაიაური („ქართული ოცნება“) — 42,72%, შაქრო ტერტერაშვილი (ნაციონალური მოძრობა) — 23, 27%, ზურაბ ფილაშვილი („ნინო ბურჯანაძე — ერთიანი ოპოზიცია“) — 27,88%, ნიკოლოზ ბართიშვილი („არასაპარლამენტო ოპოზიცია — კახა კუკავა, ფიქრია ჩიხრაძე“) — 6,13%. მეორე ტურში ბრძოლა მოუწევს გამგებლობის ერთადერთ ქალბატონ კანდიდატ ლელა ქიტესაშვილსაც — თიანეთში „ქართული ოცნების“ კანდიდატს ამომრჩეველთა 47,37%-მა დაუჭირა მხარი, მეორე ადგილზე კი, „ნინო ბურჯანაძე-ერთიანი ოპოზიციის“ წარმომადგენელი ილია არჩემაშვილი გავიდა 29,93%-ით.

გორში, მეორე ტურში „ქართული ოცნებისა“ და „ირაკლი ოქრუაშვილი — ქართული პარტიის“ წარმომადგენლები — დავით ონიაშვილი და ბონდო ვათიაშვილი დაუპირისპირდებიან ერთმანეთს. თერჯოლაში ხმები ამგვარად გადანაწილდა: თეიმურაზ ჯაფარიძე („ქართული ოცნება“) — 46,89%, ტარიელ ფანჩულიძე (ნაციონალური მოძრაობა) — 36,74%.

მეორე ტურის მოლოდინშია ბაღდათიც, სადაც „ქართული ოცნების“ კანდიდატმა ირაკლი გეგეშიძემ ხმათა 45,12% მიიღო. მეორე ადგილზე „სალომე ზურაბიშვილი — საქართველოს გზის“ კანდიდატი მევლუდ კიკნაველიძე გავიდა 36,04%-ით. დაახლოებით იგივე მდგომარეობაა ხონშიც: ჯემალ მებუკე („ქართული ოცნება“) — 46,73%, ზურაბ ჯიბუხაია (ნაციონალური მოძრაობა), — 42,02%. ტყიბულში „ქართული ოცნების“ კანდიდატმა რობიზონ გვენეტაძემ 50%-იანი ბარიერი ვერ გადალახა, ხმათა 44,04% მიიღო. მეორე ტური უნდა დაინიშნოს ლანჩხუთშიც, რადგან კოალიციის წარმომადგენელმა ხმათა მხოლოდ 44,41% მოიპოვა. ლანჩხუთის რაიონში მეორე ადგილზე დავით თარხან-მოურავის წარმომადგენელი ბარნაბ ჭყონია 37,05%-ით გავიდა. მარტვილში ხმები ასე გადანაწილდა: ალექსანდრე გრიგალავა („ქართული ოცნება“) — 45%, მამუკა დანელია (ნაციონალური მოძრაობა) — 18,22%, დავით ინჯია („ნინო ბურჯანაძე — ერთიანი ოპოზიცია“) — 25,76%. დაახლოებით ანალოგიური ვითარებაა ხულოშიც: „ქართული ოცნების“ წარმომადგენელმა ბესიკ ბაუჩაძემ 49,71% მიიღო, „დავით თარხან-მოურავი — პატრიოტთა ალიანსის“ წარმომადგენელმა ემზარ ბოლქვაძემ კი — 31,71%.

გამგებლის ასარჩევად, ხელმეორედ არ მოუწევთ საარჩევნო უბნებზე მისვლა საგარეჯოელებს. „ქართული ოცნების“ კანდიდატმა გიორგი გზირიშვილმა 58,32%-ით გაიმარჯვა, მეორე ადგილზე კი, ნაციონალური მოძრაობის წარმომადგენელი გარსევან ბუხნიკაშვილი 21, 37%-ით გავიდა. 14 868 ხმით „ქართული ოცნების“ კანდიდატმა გაიმარჯვა გურჯაანშიც, სადაც ხმები შემდეგნაირად გადანაწილდა: გივი გერგიძე („ქართული ოცნება“) — 61, 25%, გიორგი პეტრუზაშვილი (ნაციონალური მოძრაობა) — 23,3%. დაახლოებით იგივე მაჩვენებლით გაიმარჯვა „ქართულმა ოცნებამ“ სიღნაღშიც: დავით ჯანიკაშვილი („ქართული ოცნება“) — 66,69%, ზაზა ზედელაშვილი (ნაციონალური მოძრაობა) — 16,17%. „ქართული ოცნებისადმი“ ყველაზე მაღალი მხარდაჭერა დედოფლისწყაროში დაფიქსირდა, სადაც კოალიციის კანდიდატმა ნიკოლოზ ჯანიაშვილმა 87,37%-ით გაიმარჯვა. ნაციონალური მოძრაობის კანდიდატმა კი, 10, 69% მიიღო. მესამე ადგილზეა „არასაპარლამენტო ოპოზიცია — კახა კუკავა, ფიქრია ჩიხრაძის“ წარმომადგენელი გელა ბაგალიშვილი 1,93%-ით. 50%-იანი ბარიერი გადალახა „ქართული ოცნების“ კანდიდატმა ლაგოდეხშიც: კარლო ჯამბურიას ამომრჩეველთა 51,7%-მა დაუჭირა მხარი, მეორე ადგილი კი, „ნინო ბურჯანაძე-ერთიანი ოპოზიციის“ კანდიდატმა ისაკო ცქიფურიშვილმა დაიკავა 32, 8%-ით. ნაციონალური მოძრაობის წარმომადგენელმა ნიკა ნოზაძემ აქ ხმათა მხოლოდ 13,34% მიიღო. გარდაბანში ხმები ამგვარად გადანაწილდა: გარსევან ნიორაძე („ქართული ოცნება“), — 56,91%, ბესიკ კახაბრიშვილი (ნაციონალური მოძრაობა) — 27,68%, იოსებ ჯაფარიძე („ნინო ბურჯანაძე —ერთიანი ოპოზიცია“) — 8,61%. მარნეული: მერაბ თოფჩიშვილი („ქართული ოცნება“) — 51, 81%, აკმამედ იმამყულიევი (ნაციონალური მოძრაობა 31,74%), რაშიდ მამედოვი („ნინო ბურჯანაძე — ერთიანი ოპოზიცია“) — 13,03%. ბოლნისში გამგებლობისთვის მხოლოდ სამი კანდიდატი იბრძოდა. საბოლოოდ კი, „ქართული ოცნების“ კანდიდატმა გოგი მეშველიანმა ამომრჩეველთა 71,06%-იანი მხარდაჭერით გაიმარჯვა. დაახლოებით იგივე შედეგით გაიმარჯვა „ქართული ოცნების“ კანდიდატმა გოგი ბარბაქაძემ დმანისში (71,86%), სადაც ნაციონალურმა მოძრაობამ ხმათა მხოლოდ 14,97% მიიღო. წალკაშიც, გამგებელი პირველივე ტურში აირჩიეს — „ქართული ოცნების“ კანდიდატმა ილია საბაძემ 55,42%-ით გაიმარჯვა. მეორე ადგილზე ნაციონალური მოძრაობის კანდიდატი ნოდარ ხოზრევანიძე გავიდა, რომელმაც ხმათა 21,78% მიიღო, მესამე ადგილზე კი, „ნინო ბურჯანაძე-ერთიანი ოპოზიციის“ წარმომადგენელი რუსლან ხუციშვილი გავიდა 19, 83%-ით. თეთრიწყაროში ამომრჩეველთა ხმები ასე გადანაწილდა: ბესიკ წიკლაური („ქართული ოცნება“) — 58,03%, გიორგი მესტვირიშვილი (ნაციონალური მოძრაობა) — 32,05%, ბესიკ ყველაშვილი („ნინო ბურჯანაძე — ერთიანი ოპოზიცია“) — 6,26%. მერისგან განსხვავებით, გამგებელი პირველივე ტურში აირჩიეს მცხეთაში. „ქართული ოცნების“ კანდიდატმა ზურაბ აბესაძემ ხმათა 51,28 მიიღო. წინასაარჩევნოდ გაჟღერებული ბრალდებების მიუხედავად არჩევნებში კონკურენტები დამაჯერებლად დაამარცხა დუშეთში „ქართული ოცნების“ კანდიდატმა ვაჟა ჩოხელმაც. მას ამომრჩეველთა 52,99%-მა გამოუცხადა ნდობა. „ნინო ბურჯანაძე — ერთიანი ოპოზიციის კანდიდატმა“ გიორგი ხუციშვილმა კი, მხოლოდ 20,44% მიიღო, რაც შეეხება ნაციონალური მოძრაობის კანდიდატს, მას ხმათა 8,64% ერგო.

ყაზბეგში ხმები ასე გადანაწილდა: გივი ქირიკაშვილი („ქართული ოცნება“) — 50, 51%; ვაჟა გელაძე („ნინო ბურჯანაძე — ერთიანი ოპოზიცია“) — 19, 03%, გუგუა მარსაგიშვილი („დავით თარხან-მოურავი — საქართველოს პატრიოტთა ალიანსი) — 15,02%.

გამგებელი პირველივე ტურში აირჩიეს კასპელებმაც. „ქართული ოცნების“ კანდიდატმა გოჩა გოჩიტაშვილმა ხმათა 63,02% მოიპოვა, მეორე-მესამე ადგილი კი, ნაციონალური მოძრაობისა და „ნინო ბურჯანაძე — ერთიანი ოპოზიციის“ წარმომადგენლებმა გადაინაწილეს. ქარელში „ქართული ოცნების“ გამგებლობის კანდიდატმა ზაზა გულიაშვილმა **61,14%** მიიღო, „სალომე ზურაბიშვილი — საქართველოს გზის“ წარმომადგენელმა პაატა ღვინიაშვილმა — 24,42%. მეორე ტური არ ჩატარდება არც ხაშურში, სადაც „ქართული ოცნების“ კანდიდატმა გიორგი გურასპაშვილმა 51,39%-ით გაიმარჯვა. მეორე ადგილზე კი, ნაციონალური მოძრაობის წარმომადგენელი გიორგი მახათაძე 19,54%-ით გავიდა. „ქართული ოცნების“ კანდიდატმა გაიმარჯვა ბორჯომის მუნიციპალიტეტშიც — დიმიტრი ყიფიანმა ხმათა 58,65% მიიღო. ბორჯომში ნაციონალურ მოძრაობას კანდიდატი არ ყავდა. ახალციხეში კი, ამომრჩეველთა ხმები ასე გადანაწილდა: ზაზა მიქელაძე („ქართული ოცნება“) — 6043,7%, გოჩა გვარამაძე (ნაციონალური მოძრაობა) — 31,44% , ოლეგ ძოწენიძე (ნინო ბურჯანაძე — ერთიანი ოპოზიცია) — 2,56%. გამგებელი არჩეულია ადიგენის მუნიციპალიტეტშიც: ზაქარია ენდელაძე („ქართული ოცნება“) — 60, 42%, სიმონ პარუნაშვილი (ნაციონალური მოძრაობა) — 29,41%, თამაზ მწყერაშვილი („ნინო ბურჯანაძე — ერთიანი ოპოზიცია“) — 10,18%. დაახლოებით, იგივე მაჩვენებლები დაფიქსირდა ასპინძაშიც: ლევან ლაცაბიძე („ქართული ოცნება“) — 52,13%, ბესიკი ბექაური (ნაციონალური მოძრაობა) — 32,97%. 60%-იანი მხარდაჭერით გაიმარჯვა „ქართული ოცნების“ კანდიდატმა ედუარდ აღასარიანმა ახალქალაქში. ნაციონალური მოძრაობის კანდიდატმა არტურ კირაკოსიანმა ხმათა მხოლოდ 3,43% მიიღო. ნინოწმინდაში გამგებლობისთვის მხოლოდ ორი კანდიდატურა დაუპირისპირდა ერთმანეთს: „ქართული ოცნების“ წარმომადგენელმა გაგიკ კარსლიანმა ხმათა 79,99% მიიღო, „თვითმმართველობა ხალხს“ კი — 20,01%.

53%-ზე მეტი მიიღო ონში „ქართული ოცნების“ კანდიდატმა გიორგი ლობჯანიძემაც, ამბროლაურში კი, „ქართული ოცნების“ წარმომადგენელმა ხმათა 75,77%-ით გაიმარჯვა. ცაგერში, სადაც გამგებლობისთვის მხოლოდ ორი კანდიდატი იბრძოდა ხმები ასე გადანაწილდა: რევაზ ბენიძე („ქართული ოცნება“) — 71,4%, ალექსანდრე ნინუა (ნაციონალური მოძრაობა) — 28,6%. რაც შეეხება ლენტეხს, „ქართული ოცნების“ კანდიდატმა ამირან ჯამბურიძემ 61,78%-ით გაიმარჯვა. მესტიაში — „ქართული ოცნების“ გამგებლობის კანდიდატმა კაპიტონ ჟორჟოლიანმა ხმათა 69,88% მიიღო. ხარაგაულში კი ხმები ასე გადანაწილდა: კობა ლურსმანაშვილი („ქართული ოცნება“) — 64,46%, ლაშა ნიქაცაძე (ნაციონალური მოძრაობა) — 20,14%.

საჩხერე: მალხაზ ბაზაძე („ქართული ოცნება“) — 83,38%, ნუგზარ დუშუაშვილი (ნაციონალური მოძრაობა) — 4,6%. ზესტაფონი: ტარიელ თუთარაშვილი („ქართული ოცნება“) — 52,19%, გიორგი ხუტაშვილი (ნაციონალური მოძრაობა) — 18,65%. ვანში ხმები ასე გადანაწილდა: ზაზა ხურციძე („ქართული ოცნება“) — 54,05%, ლევან მაღლაკელიძე (ნაციონალური მოძრაობა) — 13,99%, ბეჟან ხურციძე („ნინო ბურჯანაძე — ერთიანი ოპოზიცია“) — 31,96%. სამტრედიელებმა გამგებლად „ქართული ოცნების“ კანდიდატი ვალერიანე ფოცხვერია 58,82%-ით აირჩიეს. ჭიათურა: სულხან მახათაძე („ქართული ოცნება“) — 55,82%, თენგიზ მოცრაძე („სალომე ზურაბიშვილი — საქართველოს გზა“) — 10,19%, გოჩა ჩიკვილაძე (ნაციონალური მოძრაობა) — 22,95%. გამგებელი არჩეულია წყალტუბოშიც, სადაც კოალიციის კანდიდატმა კონსტანტინე მამისეიშვილმა 51,97%-ით გაიმარჯვა. რაც შეეხება ოზურგეთს, მმართველი გუნდის წარმომადგენელმა მერაბ ჭანუყვაძემ ხმათა 69,11% მიიღო. ჩოხატაურშიც „ქართული ოცნების“ კანდიდატმა ირაკლი კუჭავამ 53,79%-ით გაიმარჯვა. გამგებელი პირველივე ტურში აირჩიეს აბაშაშიც — კოალიციის კანდიდატ მამუკა კვიტაშვილს ამომრჩეველთა 61,14%-მა დაუჭირა მხარი. მეორე ტური არც სენაკში ჩატარდება, სადაც „ქართული ოცნების“ კანდიდატმა გოჩა დგებუაძემ 53,45%-ით გაიმარჯვა. ხობსა და ზუგდიდშიც კოალიციის წარმომადგენელმა გაიმარჯვეს. წალენჯიხაში, „ქართული ოცნების“ გამგებლობის კანდიდატმა გოგა გულორდავამ 62,57%-ით, ჩხოროწყუში კი, კოალიციის კანდიდატმა დათო გოგუა 61,83%-ით მოიგო. ქედის მონაცემები ასეთია: დავით დუმბაძე („ქართული ოცნება“) — 51,88%, ზურაბ ავალიანი („ნინო ბურჯანაძე — ერთიანი ოპოზიცია“) — 22,49%. შუახევი: ტარიელ ებრალიძე („ქართული ოცნება“) — 72,9%. ხელვაჩაური: ნადიმ ვარშანიძე („ქართული ოცნება“) — 55,08%, ირაკლი ჯაფარიძე (ნაციონალური მოძრაობა) — 19,57%.

ვერსიანიუსი

ინტერპოლით ძებნილი თურქეთის მოქალაქე დააკავეს

შსს-ს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის სამცხე-ჯავახეთის მთავარი სამმართველოს სასაზღვრო-სამიგრაციო კონტროლის გამშვებ პუნქტ ვალეს თანამშრომლებმა ვარშავის ინტერპოლის მიერ ძებნილი თურქეთის რესპუბლიკის მოქალაქე, 1953 წელს დაბადებული იბრაჰიმ აკაია საქართველოს სახელმწიფო საზღვრის კვეთისას ვალეს სასაზღვრო გამშვებ პუნქტში დააკავეს.

იბრაჰიმ აკაია პოლონეთის სამართალდამცავი ორგანოების მიერ ინტერპოლით 2008 წლის 9 აპრილიდან იძებნებოდა. მას ბრალად ედება პოლონეთის სისხლის სამართლის კოდექსის 91-1 მუხლით და 1997 წლის ნარკოტიკების მოხმარების საწინააღმდეგო აქტის 43.1 და მე-3 მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენა, რაც ნარკოტიკებით უკანონო ვაჭრობას გულისხმობს. 1999 წლის ოქტომბერში იბრაჰიმ აკაიამ თურქეთის ტერიტორიაზე, სხვა დაუდგენელ პირებთან ერთად, ბაზარზე გაიტანა დიდი ოდენობით ნარკოტიკი – რამდენიმე კგ ჰეროინი. შემდგომ მან აიძულა სხვა პირი, აღნიშნული ნარკოტიკი წაეღო ჰოლანდიაში. ამ უკანასკნელმა ნარკოტიკები სლოვაკეთიდან ჰოლანდიაში გერმანიის გავლით სპეციალურად ადაპტირებული ავტომანქანით წაიღო. 1999 წლის ოქტომბრის შუა რიცხვებიდან 24 დეკემბრამდე იბრაჰიმ აკაიამ სხვა დაუდგენელ პირებთან ერთად კრაკოვში, ვალცში, აგრეთვე თურქეთის რესპუბლიკისა და ბულგარეთის ტერიტორიაზე, ბაზარზე გაიტანა 20 კგ ჰეროინი. მან უზრუნველყო ნარკოტიკების თურქეთიდან ბულგარეთში ტრანსპორტირება სხვა პირთა მეშვეობით.

ჩადენილი ქმედებისთვის იბრაჰიმ აკაიას შეფარდებული აქვს თავისუფლების აღკვეთა 6 წლით და 6 თვის ვადით. ამჟამად დაკავებული გადაყვანილია სამცხე-ჯავახეთის რეგიონულ დროებითი მოთავსების იზოლატორში. მის მიმართ მიმდინარეობს კანონით გათვალისწინებული წინასაექსტრადიციო პროცედურები.

„ვერსიანიუსი“

პუტინის ულტიმატუმი ევროპას!

უკრაინის შემდეგ ევროპის ჯერია

რუსეთის პრეზიდენტი ვლადიმერ პუტინი მკაცრი ტონით უკვე მთელ მსოფლიოს, განსაკუთრებით კი, დასავლეთს ელაპარაკება — ის მეთოდი გაახმოვანა, რომელიც უკრაინაში განვითარებული მოვლენების შემდეგ, კრემლის მოთხოვნების გაუთვალისწინებლობის შემთხვევაში, დასავლეთს, შესაძლოა, სასჯელად ექცეს. ვლადიმერ პუტინი უკრაინაში შექმნილ ვითარებაზე მთელ პასუხისმგებლობას თავად ამ ქვეყნის ხელისუფლებასა და ევროკავშირს აკისრებს. თუ ევროპა მზადაა, რუსეთს უკრაინის გამო გარკვეული სანქციები დაუწესოს, არც პუტინი აპირებს გულზე ხელის დაკრეფასა და ბედთან შეგუებას. კრემლი მზადაა, თავადაც იმოქმედოს, მაგალითად უარი თქვას, უკრაინული წარმოების საქონელზე, რომლის საერთო ღირებულებაც, არც მეტი არც ნაკლები, 15 მილიარდი დოლარია. პუტინის გადაწყვეტილება ასეთია — ამიერიდან, რუსეთი ზუსტად იმდენ საწვავს გაუშვებს უკრაინაში, რამდენის ფასსაც გადაიხდის კიევი ყოველთვიურად, თანაც წინასწარ!

ევროპაში ტრანზიტის უზრუნველსაყოფად, 2014-2015 წლის შემოდგომა-ზამთრის სეზონზე, მინისქვეშა გაზსაცავიდან უკრაინამ უნდა ამოქაჩოს 4-5 მილიარდი დოლარის მარაგი. თუ უკრაინა ვერ მოუყრის თავს ამ მილიარდებს, შემოდგომით ევროპა გაზის გარეშე დარჩება — ასეთია პუტინის გადაწყვეტილება და ნება!

დღეს უკრაინას რუსეთის 16, 6 მილიარდი დოლარი მართებს და კრემლს შეუძლია ეს ვალი ოფიციალურ კიევს დაუყოვნებლივ მოსთხოვოს. პუტინი ამბობს, რომ მხოლოდ მის კეთილ ნებაზეა დამოკიდებული, დააყენებს თუ არა უკრაინას ამ ფაქტის წინაშე.

რუსეთის ლიდერმა უკრაინაში შექმნილი ვითარება ამგვარად შეაფასა: **„უკრაინის ეკონომიკა სწრაფი ტემპით განიცდის დეგრადაციას; ღრმავდება კრიზისი მრეწველობასა და მშენებლობაში; იზრდება საბიუჯეტო დეფიციტი. მკვეთრად უარესდება სავალუტო სფეროს მდგომარეობა, უარყოფით სავაჭრო სალდომდე დავიდა ქვეყნიდან კაპიტალის გადინების მაჩვენებელი. უკრაინა დეფოლტს უახლოვდება. წარმოების შეჩერებამდე და უმუშევრობის სრულ აფეთქებამდე ერთი ნაბიჯია.**

სახელმწიფო გადატრიალების შედეგად მოსული უკრაინის ახალი ხელისუფლება ქვეყანას ისეთ ზღვარზე მიიყვანს, რომლის უკან ბევრი რამის გამოსწორება შეუძლებელი იქნება“.

პუტინი ულტიმატუმს აყენებს და ამბობს, რომ, თუ ამას არ გაითვალისწინებს ევროკავშირი, აშშ და უკრანა, კრემლის მორიგი ნაბიჯები ასეთი იქნება: რუსეთი ჩაკეტავს საზღვრებს უკრაინული და იმ საქონლისთვის, რომლებმაც ტრანზიტისას უკრაინა უნდა გაიარონ; შეუწყვეტს უკრაინას გაზის მიწოდებას; მოსთხოვს უკრაინის ხელისუფლებას, დაუყოვნებლივ დაფაროს 16,6 მილიარდი დოლარიანი ვალი; რუსეთი აღარ იძლევა გარანტიას, ევროპას მიანოდოს გაზი, თუ უკრაინა არ გამოისყიდის 5 მილიარდი დოლარის ღირებულების საწვავს. თუ ევროპა გაიყინება — იხტუნოს, ხტუნვას კი უკრაინა ასწავლის! — ულტიმატუმის გახმოვანების შემდეგ ციინიკურად ხუმრობს რუსეთის პირველი პირი და უკრაინა-ევროპას, ნიშნისმოგებითაც აფრთხილებს: „ვერ შეიშნოვეთ კარგი მოპყრობა, მოგექცევით ცუდად!“

რატომ შემოსწყრა ნოდარ ხადური „საქსტატს“?

რა ინფორმაცია არ მოეწონა ფინანსთა, ეკონომიკისა და ენერგეტიკის მინისტრებს, როგორ უნდა გამოძვრეს ხელისუფლება სტატისტიკის „მახედან“ და მიზები, რის გამოც „საქსტატი“ პარლამენტს უნდა დაექვემდებაროს

მაია მიშელაძე
593-51-90-12

სტატისტიკის სახელმწიფო სამსახურის — „საქსტატის“ ინფორმაციით, 2014 წლის პირველ კვარტალში, საშუალო ხელფასის რაოდენობა 13.3%-ით შემცირდა. საინფორმაციო საშუალებებში უკვე გავრცელდა „საქსტატის“ ინფორმაციის გამო საქართველოს აღშფოთებული ფინანსთა მინისტრის, ნოდარ ხადურის კომენტარი — მისი თქმით, ქვეყანაში საშემოსავლო გადასახადი გაიზარდა, რაც პირდაპირ ხელფასის რაოდენობაზეა დამოკიდებული. ფინანსთა მინისტრს მიაჩნია, რომ საშემოსავლო გადასახადის ზრდასთან ერთად, ხელფასის ოდენობაც უნდა გაიზარდოს და ჟურნალისტებს „საქსტატის“ მიერ გავრცელებული ინფორმაციის დაზუსტებას დაპირდა. საქართველოს ეკონომიკური განვითარების ცენტრის პრეზიდენტმა, რომან გოცირიძემ „ვერსიასთან“ საუბრისას აღნიშნა, რომ ნოდარ ხადურის განცხადება „საქსტატზე“ ზეწოლაა, რაც დაუშვებელია.

რომან გოცირიძის განცხადებით, ნოდარ ხადური მესამე მინისტრია, რომელმაც „საქსტატი“ არცთუ სასიამოვნო ინფორმაციის გავრცელებაში ამხილა. სტატისტიკის სახელმწიფო სამსახურს ჯერ ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა, გიორგი კვირიკაშვილმა უსაყვედურა იმის გამო, რომ ქვეყანაში დასაქმებულთა რაოდენობამ იკლო, შემდეგ ენერგეტიკის სამინისტროს წარმომადგენლებმა, რომლებსაც ინვესტიციების რაოდენობის სტატისტიკური მაჩვენებელი არ მოეწონათ და ბოლოს უკვე ხადურიც შემოსწყრა „საქსტატს“:

„გამოდის, ყველა სამთავრობო უწყებას სურს, სტატისტიკის სახელმწიფო სამსახური სათავისოდ გამოიყენოს, რათა თავიდან აიცილოს, როგორც ხალხის, ასევე პოლიტიკური ხელმძღვანელობის გულისწყრომა. ქვეყანაში ცუდი ტენდენცია ყალიბდება, ვგულისხმობ უწყებების ხელმძღვანელების მიერ, „საქსტატის“ თავში წამორტყმის მცდელობას, ამიტომ უკეთესი იქნება, თუკი სტატისტიკის სახელმწიფო სამსახური, რომელიც დამოუკიდებელი უწყებაა და მთავრობის წინაშეა ანგარიშვალდებული, სახელმწიფო აუდიტის სამსახურისა და საქართველოს ეროვნული ბანკის მსგავსად, ანგარიშვალდებული მხოლოდ პარლამენტის წინაშე იქნება. საერთოდ, სტატისტიკა იმდენად უცნაური რამაა, რომ, თუ ერთ უწყებას „აამებ“, მეორეს „აუცილებლად“ აწყენინებ, ხელისუფლების სამწუხაროდ, ეს სამსახური ორ კურდღელს ერთად ვერ დაიჭერს“.

კონკრეტულად, რას ნიშნავს საშუალო ხელფასის რაოდენობის 13.3%-ით შემცირება და რა შუაშია ეს მონაცემი საშემოსავლო გადასახადის ზრდასთან? **რომან გოცირიძის** განმარტებით, სტატისტიკურად საშუალო ხელფასი ასე გამოითვლება: ქვეყანაში მთლიანად გაცემული ხელფასების ჯამი უნდა გავყოთ დასაქმებულთა რაოდენობაზე და მიღებული ციფრი ხელფასის საშუალო ოდენობაა. გოცირიძის თქმით, თუ ქვეყანაში, ხელფასმა არც მოიკლო და არც მოიმატა, საშუალო ხელფასის სიდიდე მომუშავეთა რაოდენობის ცვლილებაზეა დამოკიდებული:

„ბევრი დასაქმებულია ქვეყანაში? ეს ნიშნავს, რომ სტატისტიკური მონაცემებით, საშუალო ხელფასი ნაკლებია. ნაკლები ადამიანია დასაქმებული, ანუ უმუშევრობამ მოიმატა? ეს ნიშნავს, რომ საშუალო ხელფასის ოდენობა სტატისტიკურად მეტია. სამწუხაროდ, „საქსტატი“ ერთდროულად ორ კურდღელს ვერ დაიჭერს და ამიტომ ან უმუშევრობის ზრდის გამო „მოხვდება“, ან ხელფასის კლების გამო. რომ არ „მოხვდეს“ ერთ, მეორე ან ორივე კომპონენტში ერთად, რეალური ცვლილებები უნდა განხორციელდეს. სხვაგვარად, სტატისტიკის „მახედან“ ვერ გამოძვრები. თუმცა ხადური მაინც შეცდა, რადგან საშემოსავლო გადასახადის ზრდა, ქვეყანაში საშუალო ხელფასის მატებასთან პირდაპირ კავშირში არ არის. ჯერ ერთი, შესაძლოა, საშემოსავლო გადასახადი არასახელფასო კომპონენტითაც გაიზარდოს. მაგალითად, ადამიანი იმ შემთხვევაშიც კი იხდის საშემოსავლო გადასახადს, როდესაც უძრავ ქონებას აქირავებს. გამორიცხული არ არის, რომ საშემოსავლო გადასახადის ზრდა ბიუროკრატიულ აპარატში დასაქმებულთა ხელფასებისა და პრემიების ზრდამ გამოიწვია. ბოლო დროს, სახელმწიფო ბიუჯეტში სახელფასო ფონდი 126 000 000 ლარით გაიზარდა და ჩვენ უკვე ვნახეთ, რა მაღალი ხელფასები და პრემიები აიღეს ცალკეულმა ჩინოვნიკებმა. ბუნებრივია, ამის გამო, საშემოსავლო გადასახადიც გაიზრდებოდა. ზოგადად, საშემოსავლო გადასახადის ზრდა, ყოველთვის არ ნიშნავს, რომ მწარმოებლურ დარგებსა და ბიზნესშიც გაიზარდა ხელფასები; მეტიც, თეორიულად დავუშვათ, რომ სახელმწიფო აპარატში დასაქმებული ადამიანები მთავრობამ გააორმაგა, სტატისტიკურად ამის გამო მივიღებთ ისეთ მონაცემს, რომ საშუალო ხელფასიცა და საშემოსავლო გადასახადიც გაორმაგდება“.

რომან გოცირიძემ „ვერსიას“ განუმარტა, რომ ნებისმიერ შემთხვევაში, ჩვენი მსჯელობა ეკონომიკური „მკითხაობაა“, რადგან ზუსტად არ ვიცით, კონკრეტულად რა ფაქტორის გამო შემცირდა 2014 წლის პირველ კვარტალში საშუალო ხელფასის ოდენობა და ზუსტად არც ის ვიცით, რის ხარჯზე გაიზარდა საშემოსავლო გადასახადი. გოცირიძის თქმით, სხვადასხვა უწყების ხელმძღვანელები, განსაკუთრებით კი ეკონომიკის, ენერგეტიკისა და ფინანსთა მინისტრები „საქსტატისკენ“ ხელის გაშვერას უნდა მოერიდონ, რადგან ეს საკმაოდ საშიშია: **„თუ სტატისტიკის სახელმწიფო სამსახურს დავუწყებთ ყიჟინს, რატომაა მაღალი უმუშევრობა ქვეყანაში, რაც გიორგი კვირიკაშვილმა გააკეთა, რა გარანტია არსებობს, რომ „საქსტატმა“ მონაცემები არ „შეალამაზოს“ და დასაქმებულთა რაოდენობა არ გაზარდოს? ამ შემთხვევაში, სტატისტიკურად, საშუალო ხელფასის მაჩვენებელი მოიკლებს, რადგან საშუალო ხელფასისა და დასაქმებულთა რაოდენობა ერთმანეთთან კორელაციაშია. თუ მთავრობის ცალკეული წევრები ასეთ ზეწოლას არ მოიშლიან, „საქსტატი“ იძულებული გახდება, სხვადასხვა სახის მანიპულაციას მიმართოს. მაგალითად, ერთ დღეს გამოაქვეყნებს ინფორმაციას, რომ ქვეყანაში უმუშევრობამ იკლო და დასაქმებულთა მეტ რიცხვს უჩვენებს. ხელფასების რაოდენობამ ქვეყანაში რომც მოიმატოს, დასაქმებულთა დიდი რაოდენობის გამო, სტატისტიკურად საშუალო ხელფასის ოდენობა მაინც მოიკლებს. ამიტომაც ვამბობ, დაუშვებელია ამ ტიპის ზეწოლა, რადგან საბოლოოდ, დამახინჯებულ სურათს მივიღებთ, რაც სავალალო შედეგამდე მიგვიყვანს“.**

რომან გოცირიძის განმარტებით, როდესაც ქვეყნის ეკონომიკა წარმატებით არ მუშაობს, ხელისუფლება ყველა სახის ინფორმაციაზე ნერვიულად რეაგირებს და „განტევების ვაცის“ ძებნას იწყებს. ექსპერტი ამბობს, რომ ორი წლის განმავლობაში, ასეთი განტევების ვაცი კოჰაბიტაცია და ოპოზიცია იყო. ახლა, როდესაც ახალი ხელისუფლების პირობებში, სამჯერ გამართულმა არჩევნებმა ჩაიარა, ყველაფრის ოპოზიციაზე გადაბრალების თემა აღარ მუშაობს, რაც გოცირიძის თქმით, ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებზე, ამომრჩეველთა ნიჰილიზმში გამოიხატა. ამ ეტაპზე, „განტევების ვაცი“ სტატისტიკის სახელმწიფო სამსახურია, ხელისუფლების ლოგიკით კი გამოდის, რომ ცუდია ის თერმომეტრი, რომელმაც ორგანიზმში მაღალი ტემპერატურა დააფიქსირა. გოცირიძე ამბობს, რომ მთავრობის წევრები სწორედ ამ „თერმომეტრის“ დამტვრევას ცდილობენ, ამიტომ კარგი მეხამრიდია საჭირო. ეს ნიშნავს, რომ „საქსტატი“ პარლამენტს უნდა დაექვემდებაროს.

ვერსიანიუსი

შსს-ს ოთხი თანამშრომელი სამსახურიდან გაათავისუფლეს

შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალურმა ინსპექციამ 2014 წლის 17 ივნისს, სამინისტროს თანამშრომლებს შორის სიტყვიერი და ფიზიკური დაპირისპირების შესახებ საპატრულო პოლიციიდან შემოსული შეტყობინების საფუძველზე, ჩაატარა სამსახურებრივი შემოწმება. გენერალური ინსპექციის დასკვნით, თბილისის მთავარი სამმართველოს ძველი თბილისის სამმართველოს თანამშრომლები — ირაკლი დარახველიძე, რევაზ კაკალაშვილი, გივი გამეზარდაშვილი და კადრების განკარგულებაში მყოფი დავით კანდელაკი დათხოვნილნი არიან სამსახურიდან.

ოთხივე თანამშრომელს „შს სამინისტროს მოსამსახურეთა დისციპლინური წესდების“ მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ (ზნეობრივი და ეთიკური ნორმების წინააღმდეგ, მოსამსახურის ან დაწესებულების დისკრედიტაციისკენ მიმართული უღირსი საქციელი, განურჩევლად იმისა, სამსახურშია ჩადენილი თუ მის გარეთ) და „ვ“ (მოსამსახურისთვის შეუფერებელი ქმედება, რომელიც ლახავს სამინისტროს სისტემის ავტორიტეტს) ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენისათვის შეეფარდა დისციპლიური სახდელი — სამსახურიდან დათხოვნა.

„ვერსიანიუსი“

მეშახტეები შრომის დაცვის ინსპექციის აღდგენას ითხოვენ



მერაბ ბერიძე
599-45-50-26

ტყიბულში, მინდელის სახელობის შახტში საწარმო პროცესის დროს 7 მაღაროელი დაშავდა — ექიმების განმარტებით, მეშახტეებს მეორე-მესამე ხარისხის დამწვრობა აქვთ. შემთხვევის მიზეზი მაღაროდან გამოტყორცნილი ცხელი ჰაერი გახდა, დაშავებულები ტყიბულისა და ქუთაისის საავადმყოფოებში გადაიყვანეს. მაღაროდან ცხელი ჰაერის გამოტყორცნის მიზეზებს სპეციალური კომისია გაარკვევს.

თბილისში, დამწვრობის ცენტრთან, სადაც დაშავებულ მაღაროელებს მკურნალობენ, მეშახტეთა სოლიდარობის აქცია გაიმართა. მეტალურგიული, სამთო და ქიმიური მრეწველობის მუშაკთა პროფესიული კავშირი სამუშაო ადგილებზე უბედური შემთხვევების სტატისტიკასა და კანონმდებლობაში რეგულაციების სიმცირეს აპროტესტებს. მეშახტეები შრომის დაცვის ინსპექციის აღდგენის მოთხოვნით გამოდიან: **„ადმინისტრაციის წარმომადგენლების თქმით, შემთხვევა გამოიწვია მაღაროდან გამოსულმა ცხელმა ჰაერმა. რა იყო მიზეზი, ვინაა დამნაშავე ან შეიძლებოდა თუ არა მომხდარის თავიდან აცილება, უბედური შემთხვევების კვლევის კომისიამ უნდა დაადგინოს“.**

მეტალურგიული, სამთო და ქიმიური მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირის პრეზიდენტი **თამაზ დოლაბერიძე** „ვერსიასთან“ მომხდარი ინციდენტის დეტალებსა და იმ პირობებზე საუბრობს, რომლებშიც მაღაროელებს მუშაობა უწევთ: **„9 ივნისს, ტყიბულის მინდელის სახელობის მაღაროზე, აღმოსავლეთ ველის მე-3 სამრეწველო უბანში, სამთო მაშველებისა და მაღაროელებისგან დაკომპლექტებული ჯგუფი ნახშირის ფენებში წარმოქმნილი ხანძრის ლოკალიზება-ლიკვიდაციას აწარმოებდა.**

დაახლოებით 17:00 საათზე, სამთო დარტყმის შედეგად ტალღამ გელა ქათამაძეს მიაყენა ზარალი — ძლიერი ვარდნის გამო, სახეზე ტრავმები მიიღო. ერთი საათის შემდეგ კი, მეთანის აალების შედეგად დანარჩენებმა (გოჩა კუბლაშვილი, ბეჟან ჭუმბურიძე, თამაზ ფუტკარაძე, თამაზ გაბელაშვილი, ვაჟა კირკიტაძე, მალხაზ ბოჭორიშვილი) სახისა და ხელების დამწვრობა მიიღეს.

დაშავებულ მაღაროელებს ტყიბულის საავადმყოფოში ჩაუტარდა პირველადი სამედიცინო დახმარება, რის შემდეგაც ხუთი მათგანი რეანიმობილით თბილისის დამწვრობის ცენტრში გადაიყვანეს, ერთი ქუთაისის კატასტროფის ცენტრში, ხოლო ერთი მკურნალობას აგრძელებს ტყიბულში. პირველივე წუთებიდან ჩვენი წარმომადგენელი საავადმყოფოში იმყოფებოდა. დამწვრობის ცენტრის მკურნალი ექიმების შეფასებით, მაღაროელებს მე-2 და მე-3 ხარისხის დამწვრობა ჰქონდათ და მათი მდგომარეობა კვალიფიცირდებოდა, როგორც საშუალო სიმძიმის, ორი მაღაროელის მდგომარეობა შედარებით მძიმე იყო. მოგვიანებით, მდგომარეობის გაუარესების გამო, აუცილებელი გახდა დაშავებული ვაჟა კირკიტაძის ქუთაისიდან თბილისში გადმოყვანა. დღეს, დაშავებულების მდგომარეობა სტაბილურია. სასუნთქი გზების დაზიანება არც ერთ მათგანს არ აღენიშნება. ექიმების თქმით, მკურნალობა მიმდინარეობს, სიტუაცია სრულ კონტროლს ექვემდებარება, კრიზისი დაძლეულია და არც ერთი მათგანის სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება.

რეალურად, რატომ მოხდა ზემოაღნიშნული ფაქტი, ვინ არიან დამნაშავეები და შეიძლებოდა თუ არა მისი თავიდან აცილება – ეს საწარმოში უბედური შემთხვევების კვლევის კომისიამ უნდა დაადგინოს, რომლის მუშაობაშიც პროფკავშირის წარმომადგენელიც მიიღებს მონაწილეობას. როგორც პროფკავშირს კომპანიის ადმინისტრაციიდან აცნობეს, კომისიის პირველი სამუშაო შეხვედრა სამშაბათს უნდა გაიმართოს“.

კითხვებზე, რა არის გამოსავალი, როგორ უნდა გამოსწორდეს არსებული მდგომარეობა და ხელისუფლება რას აკეთებს ამისთვის, **თამაზ დოლაბერიძე** პასუხობს: **„ვითარების გამოსასწორებლად აუცილებელია, შეიქმნას შრომის დაცვის ინსპექცია, რომელიც განახორციელებს მონიტორინგს და ასევე მოახდენს რეაგირებას აღმოჩენილ დარღვევებზე როგორც ტექნიკური, ასევე შრომით-სამართლებრივი თვალსაზრისით. აუცილებელია, საქართველოს პარლამენტმა მოახდინოს შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის 176-ე კონვენციის რატიფიცირება, რომელიც დამატებით ვალდებულებებს აწესებს დამსაქმებლისთვის, მაღაროებზე ჰიგიენისა და შრომის უსაფრთხოების ნორმების ამაღლების მიზნით. შრომის კულტურის ამაღლების, სამუშაო ადგილებზე კოლექტიური პასუხისმგებლობის ამაღლებისა და სოციალური პარტნიორობის მოდელის გაძლიერების მიზნით, ასევე აუცილებელია, საქართველოში დაინერგოს შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის „შრომის დაცვისა და უსაფრთხოების სისტემების მართვის 2001 წლის სტანდარტი, რომელიც ითვალისწინებს შრომის რისკების ყოველდღიურ რეჟიმში მონიტორინგს, შეფასებასა და აღმოფხვრას მუდმივმოქმედი კომისიის მიერ“.**

ტყიბულში მომხდარ შემთხვევას სახალხო დამცველიც გამოეხმაურა და მთავრობას მოუწოდა, უმოკლეს დროში გაატაროს კონკრეტული ქმედებები სამუშაო ადგილებზე შრომის უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით.

უჩა ნანუაშვილი განმარტავს, რომ ტყიბულის მაღაროში მომხდარი ფაქტი კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს სამუშაო ადგილებზე შრომის უსაფრთხოების კუთხით არსებული პრობლემების სიმწვავეს: **„სამწუხაროდ, უკანასკნელ პერიოდში სამუშაო ადგილზე დაშავებისა და გარდაცვალების არაერთი ფაქტი დაფიქსირდა, რის შესახებაც სახალხო დამცველმა არაერთხელ გაამახვილა ყურადღება. თუმცა, დღემდე შრომის უსაფრთხოების მოწესრიგების კუთხით ეფექტიანი ღონისძიებები არ განხორციელებულა. ტყიბულის მაღაროში მომხდარი ფაქტი კიდევ ერთხელ მიუთითებს, რომ სამუშაო ადგილებზე შრომის უსაფრთხოების კუთხით სერიოზული პრობლემები არსებობს — მოქმედ კანონმდებლობაში არ არსებობს რეგულაცია, რომლითაც განხორციელდება შრომის უსაფრთხოებისა და პირობების მონიტორინგი სამუშაო ადგილებზე. საკითხის სიმწვავეზე ბოლო წლებში სამუშაო ადგილებზე ფატალური შემთხვევებისა და დაშავებულთა რიცხვის მკვეთრი ზრდა მიუთითებს. მოვუწოდებ შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს, მინდელის სახელობის შახტის ადმინისტრაციას, მიმართონ ყველა ღონეს დაშავებულთა ჯანმრთელობის მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. მთავრობას კი, კიდევ ერთხელ მოვუწოდებ, უმოკლეს დროში დაიწყოს კონკრეტული ქმედითი ღონისძიებების გატარება სამუშაო ადგილებზე შრომის უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით“.**

პატიმრის დღიური

რას ნიშნავს „პოლიგლოტი“ ზონაზე?

როგორ დაასისხლიანეს მაყურებლებმა პატიმარი უცხო სიტყვის გამო

პატიმარი №0578

ვერ გეტყვით, მითია თუ რეალობა, მაგრამ პატიმრები ამბობენ, რომ ციხის საკვების „ბალანდას“ წარმომავლობა უკრაინის ერთ-ერთი ზონის უფროსს უკავშირდება. ზონის უფროსმა, გვარად ბალანდამ პატიმრები დასაჯა და ორი კვირა აშიმშილა. შემდეგ ზონაზე შევიდა, რადგან თავის ნამოქმედარით დამტკბარიყო, მაგრამ პატიმრებმა ზონის უფროსი დაიჭირეს, დაკლეს, მოხარშეს და მისი წვნიანით დანაყრდნენ. სწორედ ამის შემდეგ შერქმევია ციხის საკვებს ბალანდა...

არ აქვს მნიშვნელობა, ბალანდად რას მოგიტანენ, იქნება ეს ნახევრადმოხარშული კომბოსტო და კარტოფილი თუ მდუღარე წყალში ჩაყრილი და სალაფავადქცეული ვერმიშელი — ნებისმიერ ბალანდას ერთნაირი გემო აქვს. უფრო ზუსტად კი, არაფრის გემო აქვს და იმ სიდამპლის სუნი უდის, დიდი ხნის ჩაშმორებულ ხახვს რომ აქვს ხოლმე...

მას შემდეგ, რაც მიხეილ სააკაშვილმა ციხე გააკეთილშობილა და საკვები გააუმჯობესა, ხმა გავარდა, პატიმრებს არნახულად კვებავენო. სინამდვილეში კი, არნახული კვება მხოლოდ მაშინ იყო, თუ ზონას ან თავად სააკაშვილი სტუმრობდა, ან რომელიმე უცხოელ სტუმარს შემოუძღვებოდა ნარნარით ხათუნა კალმახელიძე. სხვა დროს კი, ჩვეულებრივი ბალანდა იყო. გამონაკლისი ოთხშაბათი და პარასკევი გახლდათ. საპატრიარქოს შეგონებით, ციხის ადმინისტრაციამ, ამ დღეებში პატიმრებისთვის ლობიოს შეჭამანდის მომზადება დაიწყო. ლობიოს უბრალოდ ხარშავდნენ, მერე კი მარილსა და ხახვს თავად პატიმრები უმატებდნენ და ნორმალური საკვები გამოდიოდა. ერთი ეგ იყო, ციხის ადმინისტრაციამ იცოდა, რომ ლობიოს ყველა ჭამდა და მასში იმაზე მეტად ყრიდა დამაწყნარებელ აბებს, ვიდრე დაშვებული იყო. შესაბამისად, ოთხშაბათსა და პარასკევს, შუადღის შემდეგ ზონაზე სამარისებური სიჩუმე იდგა. გაბრუებული პატიმრები ნარებზე ისვენებდნენ და ეძინათ. პატიმრის ძილი წმინდათა წმინდაა. ძილს პატიმარს მხოლოდ ორ შემთხვევაში უფრთხობენ — როცა თავისუფლებაზე გადის ან, როცა უნდა სცემონ. სხვა შემთხვევაში, მძინარე პატიმარს უახლოესი მეგობარიც კი არ აღვიძებს...

ოთხშაბათს, ნასადილევს, 67-ე საკანი ფუტკრის სკას დაემსგავსა. ზონის მაყურებელი, კორპუსების მაყურებლები, რეგიონების მაყურებლები ერთიანად შევიდნენ და თან ერთი პატიმარი მოიყოლეს. ჩაცმულობაზე თუ შეატყობდით, რომ მსჯავრდებული იყო, თორემ ისე ჰქონდა თავ-პირი გასისხლიანებული, ვერავინ იცნობდა. მაყურებლები იმ პატიმრის ნარისკენ დაიძრნენ, რომლის ნომერი 0578 იყო და მშვიდად ეძინა. ზონის მაყურებელმა ფეხში ხელი წაჰკრა და გააღვიძა. „სვაბოდაზე“ რომ არ ეძახდნენ, ყველამ იცოდა და იმ გასისხლიანებული პატიმრის გათვალისწინებით, უკეთესი დღე არც ამას ელოდა. პატიმარმა გაიღვიძა და, როცა სტუმრებს გადახედა, დაიბნა.

— რა ხდება? — ჩუმად იკითხა და ნარიდან ჩამოვიდა.

— შეგიძლია, დალაგებულად გვესაუბრო? თუ არა, პირზე წყალი შეისხი და გამოფხიზლდი, — უთხრა ზონის მაყურებელმა.

პატიმარმა პირი დაიბანა, ნარზე ჩამოჯდა, ჯერ დასისხლიანებულ პატიმარს გახედა და შემდეგ რაც შეიძლებოდა მშვიდი ხმით უთხრა — გისმენთ.

— ყურადღებით მომისმინე. იცოდე, პასუხს არავინ გაიძულებს. თუ იცი ასი პროცენტით, მხოლოდ იმ შემთხვევაში გვიპასუხე. თუ არა და გვითხარი, რომ არ იცი და როგორც შემოვედით, ისევე გავალთ, — უკვე რუსთავის რეგიონის მაყურებელი ლაპარაკობდა.

— გისმენთ!

— უცხო სიტყვებთან როგორ ხარ?

— ზოგის მნიშვნელობა ვიცი, ზოგის არა. თუ მეცოდინება, გეტყვით, თუ არა და არის უცხო სიტყვათა ლექსიკონი და იქ მოვძებნოთ.

— კარგი... შენ თუ იცი, პოლიგლოტი რას ნიშნავს?

— პოლიგლოტი?! — გაოცდა 0578.

— ჰო, რა გაგიკვირდა, არ გაგიგია?! — ხმაში სიმკაცრე გაურია რუსთავის ზონის მაყურებელმა.

— როგორ არ გამიგია. ეგ ნიშნავს ადამიანს, რომელმაც იცის რამდენიმე ენა. მაგალითად, პოლიგლოტად შეიძლება ჩაითვალოს მიხეილ სააკაშვილი, მისი ცოლი სანდრა... ზოგადად, ადამიანები, რომლებიც რამდენიმე ენაზე საუბრობენ.

— ხომ გეუბნებოდით? — ეს უკვე სახედასისხლიანებული პატიმრის გმინვა იყო.

რუსთავის რეგიონის მაყურებელი ჩაფიქრდა და მტკიცედ თქვა — არ ვიცი, შენ რას მეუბნებოდი, მაგრამ მეორედ მეტყვი, პოლიგლოტი ხარო და უარესი მოგივა, — ხმამაღლა გამოაცხადა მან და კამერიდან ყველა მაყურებელი გავიდა.

პატიმრები მაშინვე ნაცემ პატიმართან მივიდნენ. სახე მობანეს, იცნეს და ჰკითხეს, რა მოხდაო?

— ეს ჩემი ცოდვით სავსე რუსთავის რეგიონის მაყურებელი ამბობდა, ქართული ვიცოდი, რუსული ვიცოდი, მეგრული და აზერბაიჯანული ზონაზე მასწავლეს, ახლა ინგლისური უნდა დავამხეცოო... მეც ვუთხარი, რა გინდა, პოლიგლოტი ყოფილხარ-თქო. მაშინვე მეცა და ცემა დამიწყო. მერე ხომ იცით, როგორ ხდება?! მაყურებელი სცემსო და, თუ ვინმე კაი ბიჭი იყო, ყველა მე შემდგა. მერე ავუხსენი, რასაც ნიშნავდა, მაგრამ არ დამიჯერა, ჩემთვის პოლიგლოტი და ხუიგლოტი ერთია, ეგ როგორ მაკადრეო. შენ რომ არ გეთქვა, პოლიგლოტი რას ნიშნავდა, მომკლავდა ალბათ ცემით.

— და მაგ კამერაში უცხო სიტყვათა ლექსიკონი ხომ დევს?

— კი დევს, მაგრამ, როცა მოვითხოვე, კინაღამ უკან გამიკეთეს, ჩვენ წიგნებს დავუჯეროთ თუ კაცის ნათქვამსო. მერე შენთან წამოვიდნენ და გადავრჩი.

სუდოკუ

ადვილი

	4		3	1				
	9			5			2	
6						3	8	
		7	6					2
	8			3			4	
4					1	7		
	3	5						7
	7			2			1	
				9	7		3	

სტანდარტი

			1	6		7	3	5
		6						
			2				8	6
							5	1
6		1	5		4	3		7
5	4							
3	7				2			
						5		
8	5	2		7	1			

რთული

	3	7			5			9
				8		3	7	
2			1			6		4
1			5			9		
		4			6			1
7		2			1			3
	8	1		7				
3			2			5	1	

ექსპერტი

1				3	8			
			7			1		
7				1			4	
	3					6	2	
		9		5		3		
	5	8					7	
	4			9				8
		6			3			
			2	6				7

წყლის ნამცხვარი „გამოაცხვეს“

რასაც იაპონელები გვთავაზობენ, სასწაულია — წყლის ნამცხვარი გემრიელი დესერტია, რომელიც ნახევარ საათში მზადდება, მერე კი ნუგბარი გუბედ გადაიქცევა. ერთი შეხედვით, ახალი ნამცხვარი უზარმაზარ, უფერულ ჟელეს გუნდას ჰგავს, პირში დნება და მსურველს მის დასაგემოვნებლად დრო მხოლოდ 30 წუთი აქვს. სწორედ ამიტომ დესერტის მირთმევა მხოლოდ რესტორანშია ნებადართული. დელიკატესი ამომავალი მზის ქვეყნის მაცხოვრებლებს პირველად შარშან შესთავაზეს. ეს ერთგვარი ტესტი იყო, თუმცა ნამცხვარი მალევე გახდა პოპულარული და მენიუშიც შეიტანეს. წყლის ნამცხვარი მხოლოდ Kinseiken-ის ქსელში იყიდება.

მაცივრის „მართვის“ გამო დააკავეს

ავსტრალიის პორტში 22 წლის ახალგაზრდა მამაკაცი დააკავეს, რომელიც არაფხიზელ მდგომარეობაში მართავდა პორტატულ მაცივარს ბორბლებზე. სამართალდამცავებმა ჯერ ამ უცნაურ ტრანსპორტს მიაქციეს ყურადღება, მერე მძღოლის სიმთვრალეც დაადგინეს და თავად მაცივარიც გატენილი აღმოჩნდა ალკოჰოლური სასმელით. ახალგაზრდას სატრანსპორტო საშუალების არაფხიზელ მდგომარეობაში მართვის ბრალდება წაუყენეს და როგორც ადგილობრივი მედია იუწყება, მსგავსი ინციდენტი ადრეც მომხდარა „მწვანე კონტინენტზე“ — რამდენიმე თვის წინ ქვინსლენდში დააკავეს მამაკაცი, რომელიც მოტორიზებული მაცივრით გადაადგილდებოდა და ალოკოჰოლური სასმელი გადაჰქონდა.

შოუს გამარჯვებული მონაზონი გახდა

იტალიაში დასრულდა მუსიკალური შოუ voice, რომლის გამარჯვებულიც, პირველად ისტორიაში, მონაზონი გახდა. კათოლიკე მონაზონი, 25 წლის კრისტინა სკუჩა მსოფლიომ გაიცნო. შოუს გამარჯვებულმა ახალგაზრდამ, რომელიც საოცრად ასრულებდა ბევრ ცნობილ ჰიტს, ერთნაირად კარგად მღეროდა პოპსაც და როკსაც, უფალს მადლობა გადაუხადა ამ წარმატებისთვის და სცენაზე ლოცვაც წაიკითხა. სიცილიელი ღვთისმსახური ამჟამად მილანში ცხოვრობს სხვა მონაზვნებთან ერთად. შოუში გამარჯვებისთვის, ჯილდოს სახით მან მუსიკალურ სტუდიასთან კონტრაქტი მიიღო, თუმცა აცხადებს, რომ არ აპირებს მომღერლის კარიერის გაგრძელებას და ერთადერთი მიზეზი, რის გამოც voice-ში მიიღო მონაწილეობა, „მნიშვნელოვანი მისია“ იყო ეკლესიისა და ხალხის დასაახლოებლად, რისკენაც რომის პაპმა მოუწოდა.

წინა ნომერში გასუდოკუ სკანვორდისა და სუდოკუს პასუხები

ადვილი

9	8	7	6	5	4	3	2	1
6	2	5	3	7	1	4	9	8
4	3	1	9	8	2	7	6	5
8	1	6	5	4	7	9	3	2
2	7	3	1	9	8	6	5	4
5	9	4	2	3	6	8	1	7
7	6	2	4	1	3	5	8	9
3	4	9	8	2	5	1	7	6
1	5	8	7	6	9	2	4	3

სტანდარტი

6	5	2	8	1	7	9	4	3
1	4	3	6	9	5	8	2	7
7	9	8	4	3	2	6	1	5
8	3	5	1	2	9	7	6	4
4	2	1	7	6	3	5	9	8
9	7	6	5	4	8	2	3	1
5	1	4	9	8	6	3	7	2
3	8	9	2	7	4	1	5	6
2	6	7	3	5	1	4	8	9

ადვილი

2	7	1	4	8	9	5	3	6
9	8	6	7	5	3	4	2	1
3	5	4	6	2	1	9	7	8
4	3	2	1	9	5	8	6	7
1	9	8	3	7	6	2	4	5
7	6	5	8	4	2	1	9	3
8	4	9	5	3	7	6	1	2
6	2	7	9	1	8	3	5	4
5	1	3	2	6	4	7	8	9

სტანდარტი

5	4	6	1	3	7	2	9	8
3	9	2	8	6	4	7	1	5
1	8	7	5	9	2	4	3	6
4	7	5	3	1	6	9	8	2
2	1	9	4	8	5	6	7	3
6	3	8	2	7	9	5	4	1
9	6	3	7	5	8	1	2	4
8	5	4	9	2	1	3	6	7
7	2	1	6	4	3	8	5	9

რთული

4	5	2	3	1	6	9	8	7
8	3	9	7	5	4	2	1	6
6	1	7	2	8	9	5	4	3
3	2	8	6	9	7	4	5	1
5	6	4	1	3	8	7	2	9
9	7	1	5	4	2	3	6	8
2	4	6	9	7	1	8	3	5
7	8	5	4	6	3	1	9	2
1	9	3	8	2	5	6	7	4

ექსპერტი

7	2	6	5	1	9	4	8	3
4	3	1	2	7	8	9	6	5
5	9	8	6	3	4	2	1	7
6	8	5	4	2	3	7	9	1
9	1	7	8	6	5	3	4	2
3	4	2	7	9	1	6	5	8
8	7	9	3	5	6	1	2	4
2	6	4	1	8	7	5	3	9
1	5	3	9	4	2	8	7	6

რთული

5	9	8	4	3	2	7	1	6
4	7	3	6	5	1	2	9	8
6	2	1	8	9	7	5	4	3
3	4	5	2	1	9	6	8	7
8	1	2	5	7	6	4	3	9
9	6	7	3	8	4	1	5	2
7	8	9	1	6	5	3	2	4
2	5	6	9	4	3	8	7	1
1	3	4	7	2	8	9	6	5

ექსპერტი

5	7	4	6	3	2	9	8	1
3	2	1	9	4	8	6	7	5
8	9	6	7	5	1	4	3	2
4	3	9	8	1	6	2	5	7
7	1	8	5	2	4	3	9	6
2	6	5	3	7	9	8	1	4
6	5	7	2	9	3	1	4	8
1	8	3	4	6	7	5	2	9
9	4	2	1	8	5	7	6	3

მე-10 გვერდი: 1. მეტლახი; 2. ექსტაზი; 3. ლექსუსი; 4. ხაკი; 5. გოლგოთა; 6. ორიენტალისტიკა; 7. გუმანი; 8. თონე; 9. ფსიქიკა; 10. ზესკნელი; 11. არაუკარია; 12. აბსცესი; 13. ფირმანი; 14. ალიევი; 15. ანდანტე; 16. ჭიგო; 17. აზუა; 18. ბერსეზი; 19. ანანი; 20. ტლინკი; 21. სილოსი; 22. ალთაი; 23. „კინო“; 24. ალო; 25. მისია; 26. კანტი; 27. ლოტი; 28. „სონატა“; 29. აკაი; 30. ლეონიძე; 31. ლეკალო; 32. ცრუ; 33. ნია; 34. ლიოვი; 35. მელ; 36. აბსცისა; 37. კანოტიე; 38. ოლივინი; 39. მნე; 40. ქიუ; 41. დალაი; 42. იოტი; 43. სინტო; 44. ნეი; 45. მაიამი; 46. ქიმია; 47. რელე; 48. ნინძა; 49. „ავეო“; 50. ჰაე; 51. ვადუცი; 52. ელისო; 53. „ბრიო“; 54. კეფა; 55. ცა; 56. ბე; 57. ნაი; 58. ურვა; 59. აბგა; 60. ჰაიტი.

მე-12 გვერდი: 1. სტიუარდესა; 2. ჰავანა; 3. სეკვოია; 4. იორდასალამი; 5. ალიკაპი; 6. „ჰელადოს“; 7. ვენეცია; 8. ნონა; 9. აკორდი; 10. ნორა; 11. აბანო; 12. ლენინი; 13. ირიდა; 14. იპონი; 15. აკელა; 16. პირი; 17. სოია; 18. დეცი; 19. დონ; 20. კარატი; 21. ალა; 22. სლაი; 23. ლია; 24. აზიმუტი; 25. მანილა; 26. ურო; 27. მარკ ტვენი; 28. რეისფედერი; 29. არტალა; 30. ტოფობა; 31. ლადოგა; 32. ირბისი; 33. „ზარაფხანა“; 34. ეფა; 35. შუბი; 36. ოტია; 37. ბულატ; 38. ლაკრუა; 39. შრე; 40. სოფა; 41. ეტა; 42. ბაგი; 43. როკოკო; 44. ტაფა; 45. დევი; 46. გუშინ; 47. ოლიფა; 48. ასანთი; 49. „ოაზისი“; 50. მექსიკა; 51. მედვედევი; 52. საკე; 53. ეტლი; 54. ნიკე; 55. უნტები; 56. ამაო; 57. ერე; 58. დანაე; 59. ეიფელი; 60. ენა; 61. აპნოე; 62. კრეოლი; 63. იდიში; 64. ეტორე; 65. იუნესკო; 66. შიში; 67. ზაქარა; 68. ნიუ; 69. ნოე; 70. გნუ; 71. შპრეე; 72. აფროდიტე; 73. ატელიე; 74. ბეილი; 75. რი; 76. სპინინგი; 77. კიმონო; 78. როი; 79. ბაშო; 80. აბო; 81. ძაუ; 82. მიტრა; 83. არუე; 84. ლუიშ; 85. „ელი“.

1. „ბულგარული“ ბოსტნეული
2. სოფელი დუშეთის რაიონში
3.ალექსანდრე ჭავჭავაძის მამული
4. საკურორტო სოფელი თბილისთან
5. სამიზნე თოფის ლულაზე
6. ავსტრალიის დედაქალაქი
7. ქვიტკირის სამარე
8. მეტის-მეტად კომიკური წარმოდგენა
9. ფინური ეპიკური სიმღერა
10. ეკლესიის მსახური
11. ჩვილი ბავშვის პირველი „სიტყვა“
12. მარტოხელა, უთვისტომო
13. სუსტი ქარი, ნიავი
14. რელიეფით შემკული ჭერი
15.პირადი ინტერესებით მცხოვრები ადამიანი
16. პალესტინის ექსლიდერი იასირ ...
17. ბალზაკის „მამა ...“
18.ძვირფასმატყლიანი ცხვრის ჯიში
19. ეკონომიკური სანქციის სახეობა
20. ჯუჯა კამერი
21. მიწის საზომი ერთეული საქართველ.
22. სახელმწიფო აზიაში
23. შინაური ცხოველი
24. ზევსის ფარი
25. ვერდის ოპერა
26. იაპონური შაში
27. ფაშისტთა საბრძოლო რაკეტა
28. თანამედროვე ბრაზილ. მწერალი
29. ზვიადაურის სოფელი
30. „მოლაპარაკე“ ფრინველი
31. მსუბუქი ნამცხვარი
32. მუსიკოსი ... ჯაგერი
33. პაკისტანის სახელმწიფო ენა
34.ფილმში ჩართული კომიკური ტრიუკი
35. ხელოვნური წყალსაცავი
36. ცხვრის ჯოგი
37. გადამდნარი კარაქი
38.კატის მოფერებითი სახელი
39. მორბენალი ფრინველი
40. წიწვოვან მცენარეთა წვენი
41ძაფისებრი წანაზარდი ადამიანის თავზე
42.დიდი გომბეშო
43.ვულკან. მასა
44. ბალეტის ერთ-ერთი პოზა
45.ძველი, გაფუჭებული კვერცხი
46. ქიმიური ელემენტი
47.ღორის ხორცის ჩიხირთმა
48.მაუგლის პითონი
49.ისრაელ. ავტომატი
50.მექსიკის დედაქალაქი
51. წყალქვეშა კლდე
52. მსახიობი ... ელიავა
53.დანანების გამომხატველი შორისდებული
54. ბილიარდის სათამაშო ჯოხი
55. სტალონეს მოფერებითი სახელი
56. თმის მცენარეული საღებავი
57. თავისუფალი ფორმის ნარკვევი
58.იაპონ. მწერალი ქენძაბურო ...
59. აღტაცების გამომტახ. შეძახილი
60.ტრადიციული იაპონური თეატრი
61საწერი ქაღალდის საზომი ერთეული
62. იტალიელი ფეხბურთელი
63. გამოწვევით გასახსნელი რისამე შესანახი ყუთი
64. უნგრული სადესერტო ღვინო
65. ბედუინების მოსასხამი
66. ფრანგი ნობელიანტი მწერალი
67. ქალაქი გერმანიაში
68. ნიდერლანდელი ფერმწერი
69.პაპი გრძელი-წინდას მეგობარი

ტატუ კოლექციონერს მიყიდა

ახალგაზრდა შვეიცარელმა ზურგზე გაკეთებული ტატუ გერმანელ კოლექციონერს 150 ათას ევროდ მიყიდა. გაფორმებული კონტრაქტის მიხედვით, ტატუს ახალ მფლობელს ექნება უფლება, პუბლიკას აჩვენოს (რა თქმა უნდა, მის მატარებელთან ერთად) წელიწადში სამჯერ. გარდა ამისა, შვეიცარიელის სიკვდილის შემდეგ ტატუირება სხეულს უნდა „მოაცილონ“. „ხელოვნების ნიმუშის“ მფლობელს ექნება უფლება, გაყიდოს ან მემკვიდრეობით გადასცეს, როგორც ნებისმიერი სხვა ქონება. ტატუ, რომელიც 31 წლის ციურიხელ მუსიკოსს, რომ შტაინერს ზურგზე აქვს, საკმაოდ რთულ ნახატს — თავის ქალიდან აღმდგარ მადონას წარმოადგენს. მის დახატვას სპეციალისტებმა 35 საათი მოანდომეს. პირველად ტატუ უკვე მომავალ კვირაში იქნება ექსპონირებული სინგაპურსა და ჩინეთში.

Appraisal.llc

შპს „აპპრაისალი“ გთავაზობთ,

უძრავი და მოძრავი ქონების შეფასებას

ალექსანდრე ფურცელაძე
მისამართი: ნუცუბიძის №16ა
ტელ.: (5)99 22 98 33
ელ-ფოსტა: a.purtseladze@gmail.com

პროფესიონალ კულინარებს ბავშვმა აჯობა

აშშ-ში, მაიამიში მცხოვრებმა ტაილორ მოკსიმ, რვა წლის ასაკში რამდენიმე ათასი დოლარი იშოვა საკუთარი კულინარიული ნიჭის წყალობით. გოგონა შეკვეთით ისეთ კექსს აცხობს, მის კლიენტებს შორის მსხვილი კომპანიებიც არიან. წარმატება კი პატარა გოგონას პროფესიონალი მზარეულების კონკურსში KISS Country Midtown Miami Cornbread Competition გამარჯვებამ მოუტანა. ტეილორი მაშინვე პოპულარული გახდა და უამრავი კერძო შეკვეთა მიიღო. მოკსი შეკვეთებს გაკვეთილების შემდეგ ასრულებს — ზელს ცომს, აცხობს და რთავს კექსს, აგროვებს ქაღალდის ყუთებს. ზოგჯერ მშობლებიც ეხმარებიან, თუკი ძალიან ბევრი სამუშაო დაუგროვდება. თავისუფალი დრო რომ აღარ რჩება, ტეილორი არ წუხს, პირიქით ძალიან კმაყოფილია, რომ ადამიანებს სიხარულს ანიჭებს და ოჯახისთვის შემოსავალი მოაქვს. გოგონა ოცნებობს, რამდენიმე წლის შემდეგ, როცა გაიზრდება, საკუთარი საკონდიტრო გახსნას.

ცხოვრება ბუზების დახოცვას მიუძღვნა

დაახლოებით 14 წლის წინ, როცა ჩინელი ქალბატონი ჟუან ტანი პენსიაზე გავიდა, დაფიქრდა იმაზე, როგორ გაეყვანა დრო და თან საზოგადოებისთვის სასარგებლო საქმე გაეკეთებინა. ერთ მშვენიერ დღესაც ხანდაზმული ჩინელი მიხვდა, რომ ბუზები ძალიან აწუხებდა მოსახლეობას, განსაკუთრებით კი ზაფხულში და გადაწყვიტა ბუზების დახოცვა. უკვე 14 წელია, 80 წლის ტანი ბუზების სახოცით ხელში დადის და დღის განმავლობაში უამრავ მავნებელს ანადგურებს. საკუთარ რაიონში, ნაგვის ურნების ახლომახლო ტრიალებს და მანამდე ხოცავს ბუზებს, ვიდრე არ დარწმუნდება, რომ იმ ადგილას ყველა გაანადგურა. განსაკუთრებით წარმატებულად მიაჩნია დღე, თუკი 1000-მდე ბუზი მაინც მოკლა.

სუდოკუ

ადვილი

			5				2	
1		2			6	7		
8							5	
7				1	5	9		
		3		9		1		
		8	2	6				5
	4							6
		1	6			3		4
	7				1			

სტანდარტი

				4		2	1	
								5
9	8		5		1	4		
	5	2	7	1				
			3		6			
				5	2	6	4	
		3	4		5		2	7
8								
	4	9		6				

რთული

				9	4	6		
								1
4			6				9	
	6	7	4			8	1	
	2	5				4	3	
	9	4			1	5	6	
	3				5			4
6								
		8	7	3				

ექსპერტი

		7				1		8
2		6	1				4	
		1					5	
		9	8					
	4		3	2	9		1	
					4	9		
	8					5		
	1				8	4		9
9		2				3		

ბალიში ნაოჭებს გაგიქრობთ

მეცნიერებმა სპილენძის ჟანგის საფუძველზე ახალი ბალიში შექმნეს, რომელიც ძილის შემდეგ სახეზე არანაირ ნაოჭს არ დაგიტოვებთ და არსებულსაც გაასწორებს. ახალი ბალიშის კლინიკური გამოცდა 57 მოხალისეზე მოეწყო. ოთხი კვირის განმავლობაში ზოგიერთ მათგანს ამ „სასწაულმოქმედ“ ბალიშზე ეძინა, რომელიც გარეგნულად სტანდარტულისგან არაფრით განსხვავდება, ნაწილს კი — ჩვეულებრივ ბალიშებზე. ექსპერიმენტმა აჩვენა, რომ მოხალისეთა უმრავლესობას, კვლევის შემდეგ, გაცილებით ნაკლები ნაოჭი დარჩა. ბალიშების მწარმოებელ კომპანია Cupron-ში აცხადებენ, რომ ეს ფანტასტიკური აღმოჩენაა. ქსოვილი, რომლისგანაც ახალი ბალიშებია შეკერილი, ყველა ნაოჭზე მოქმედებს, შედარებით თხელს კი საერთოდაც აქრობს. ავტორთა ვარაუდით, ადამიანის კანი ბალიშის ქსოვილიდან სპილენძის იონებს გამოათავისუფლებს, რაც სასიკეთო გავლენას ახდენს კოლაგენის გამომუშავებაზე. აშშ-ში ეს „სასწაულმოქმედი“ ბალიში უკვე ათასობით გაიყიდა და მისი ფასი დაახლოებით 35 დოლარია.

ავსტრალიაში ჯაჭვური დეფიციტია

ავსტრალიის მოსახლეობის ბოლო აღწერამ დაადასტურა, რომ ქვეყანა კაცების ნაკლებობას განიცდის. სტატისტიკური უწყების მიერ გამოქვეყნებული მონაცემები ცხადყოფს, რომ „მწვანე კონტინენტზე“ სუსტი სქესის წარმომადგენელთა რაოდენობა კაცებისას 100 ათასით აჭარბებს. ჯერ კიდევ 30 წლის წინ მამაკაცების დიდი რაოდენობა მიაწყდა ავსტრალიას, რასაც აქაური ხელისუფლების საიმიგრაციო პოლიტიკამ შეუწყო ხელი, ახლა კი ვითარება შეიცვალა, რადგან ბევრი ავსტრალიელი 20-30 წლის ასაკში ქვეყნიდან მიემგზავრება უკეთესი სამუშაოს საძებნელად. ყველაზე ცუდად საქმე სანაპირო რეგიონების მცხოვრებთ აქვთ — აქ სამუშაოდ უამრავი ქალი ჩავიდა, ძლიერი სქესის წარმომადგენლები კი, პირიქით, გაემგზავრნენ. ასეთმა დისბალანსმა შესაძლოა, მომავალში უარყოფითი შედეგები გამოიწვიოს. დიდი ქალაქებისა და სოფლების მდგომარეობა ამ მხრივ ძალიან განსხვავდება. ბევრი ქალი ცდილობს, პროვინციას თავი დააღწიოს და ქალაქური ცხოვრების „სიტკბო იგემოს“, ახალგაზრდა კაცები კი მეგაპოლისების მიღმა რჩებიან. მაგალითად, ქალაქ გლენდენში 23 კაცზე მხოლოდ ერთი ქალი მოდის. ავსტრალიელმა მეცნიერებმა ე.წ. სასიყვარულო რუკაც კი შეადგინეს, რომელზეც ქვეყანაში „თავისუფალი“ კაცებისა და ქალების განლაგება მიუთითეს.

საფლავი ყველასთვის

გერმანელმა არქიტექტორებმა გადაწყვიტეს, ეგვიპტელ ფარაონებს აჯობონ და საქსონიის ქალაქ დესაუს მახლობლად 468-მეტრიანი პირამიდა ააშენონ. დაგეგმილი მშენებლობა სამარხი იქნება, თუმცა არა თანამედროვე ფარაონისა და მასთან დაახლოებული პირებისა, არამედ მას რამდენიმე მილიონი ადამიანის სასაფლაოდ გამოიყენებენ. გერმანელი არქიტექტორები იმედოვნებენ, რომ ეს გეგმა განხორციელებადია, რადგან უამრავი ადამიანი გადაიხდის ფულს, მათი ფერფლი ბეტონის ბლოკებში რომ ჩაიმარხოს. სწორედ ბეტონით აპირებენ იდეის ავტორები ახალი პირამიდის აგებას, თითოეული სამარხის ღირებულება კი 700 ევრო იქნება. დაგეგმილი ნაგებობა 4-ჯერ მაღალი უნდა იყოს ხეოფსის პირამიდაზე და მას გერმანელებმა უკვე შეარქვეს „საყოველთაო მონუმენტი“ ან, „საფლავი ყველასთვის“.

ბედნიერების ფასი გამოთვალეს

სააგენტო Bloomberg-მა ახალი ინსტრუმენტი შეიმუშავა, რომელიც მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში „ბედნიერების ფასს“ გაზომავს — ამ მეთოდით 23 ქვეყანა შეფასდა. ყველაზე იაფი ბედნიერება ისრაელში აღმოჩნდა — აქ ადამიანს საამისოდ მხოლოდ 4491 დოლარი ჰყოფნის. ყველაზე ძვირი კი ბედნიერების მოპოვება კატარში ყოფილა — 14 609 დოლარად. მეორე ადგილზეა ლუქსემბურგი 10986 დოლარით, მესამე-მეოთხე ადგილებზე სინგაპური და ამერიკის შეერთებული შტატებია 8245 და 7051 დოლარით. ფინეთსა და დანიაში ბედნიერება 4700 დოლარი ღირს, საფრანგეთში კი მას 5119 დოლარად მოიპოვებთ.

ფაქსის ნაცვლად ჩემოდანი-მოტოციკლი

ჩინელმა მამაკაცმა ახალი მეთოდი მოიგონა აეროპორტამდე მისასვლელად — მოტორიანი ჩემოდანი შექმნა, რომელიც მოტოციკლის ფუნქციებითაა აღჭურვილი: ორი პატარა ბორბალი აქვს უკან და ერთი წინ, სკუტერის მსგავსად. მოტო-ჩემოდანს ორი ადამიანის გადაყვანა შეუძლია 60 კილომეტრის მანძილზე. ამ უცნაური სატრანსპორტო საშუალების სიჩქარე დაახლოებით 20 კილომეტრია საათში და ლითიუმის აკუმულატორით იტენება.

ტელეკომპანია „თრიალეთი“
032 239 38 23
599 25 13 31
www.trialeti.ge
trialeti@trialeti.ge
თბილისი:
ნუცუბიძის ქ. N12/1
რეკლამა „თრიალეთზე“
დაგვიკავშირდით

1. მთის გარეული ცხვარი
2. კერძო, დაქირავებული მასწავლებელი
3. ფილოსოფოს პლატონის მოსწავლე
4. ძველებური საწერი მასალა
5. ინდიელთა სატყორცნი იარაღი
6. საერთაშ. ორგანიზაციის წევრთა კრება
7. იანვრის ძველქართული სახელწოდება
8. „მე, ბებია, ... და ილარიონ“
9. წრეწირის ნაწილი
10. „უსაფუძვროდ გამომცხვარი პური
11. ილია ჭავჭავაძის „... ქვრივი“
12. რუსეთის ერთ-ერთი პოლიტიკური პარტია
13. წარწერა კინოფილმის კადრზე
14. საყვარელი საქმიანობით გაატაცება დასვენებისას
15. ტყავის ჭურჭელი ღვინისათვის
16. მდინარე ვოლგის სახელწოდება შუა საუკუნ.
17. მთიანი მხარე რუსეთში
18. ბოლქვიანი დეკორატიული ტკვილი
19. ყელსაბამი ძვირფასი თვლებით
20. დიდი წუხილი, გოდება
21. მაღალხარისხოვანი მინა
22. ვინმეზე გაწეული უანგარო შრომა
23. იგივეა, რაც მეტსახელი
24. რახმანინოვის ოპერა
25. ფრანგი მომღერალი ქალი
26. 1000 კგ
27. ჯოჯოხეთის ცეცხლი
28. სიმინდის ყვავილედი
29. უმაღლესი მიღწევა სპორტში
30. ჰოლივუდის მსახიობი ... გეიბლი
31. ხემცენარე თეთრი სურნელოვანი ყვავილებით
32. სასულიერო პირი „შუშანიკის წამებაში“
33. ოთხი მუსიკოსისგან შედგენილი ანსამბლი
34. ცხიმოვანი სიმსივნე
35. რძისგან დამზადებული მომჟავო სასმელი
36. მნიშვნელოვანი აზრი, ჩანაფიქრი
37. მარიამ ღვთისმშობლის მამის სახელი
38. არგენტინის ნაკრების ყოფ. ფეხბურთელი
39. სპორტული ნავი
40. განის დედაქალაქი
41. წელიწადის 1/12
42. ტბა აფრიკაში
43. კილერი „მატრიცაში“
44. ასტრონომიის მეუზა
45. ინდოელთა წმინდა მდინარე
46. თეატრის შენობა ძველ საბერძნეთში
47. ამერიკელი გამომგონებელი
48. სახოტბო ლექსი
49. ტბა ჩრდილოეთ ამერიკაში
50. ბუდას დედის სახელი
51. ჯონ ლენონის მეუღლე იოკო ...
52. ზღაპრული ცხენი
53. აფრიკული შხამიანი ბუზი
54. ახალი წელი გუერიაში
55. უმცირესი სამნიშნა რიცხვი
56. ქრისტიანული ეკლესიის ერთ-ერთი უძველესი დღესასწაული
57. უდაბნოს „ხომალდი“
58. სოფიკო ჭიაურელის კინოროლი
59. მერი პოპინსის პროფესია
60. სოკოს გამრავლების ორგანო
61. აკრძალვა სახელმწიფო სამართალში
62. მსოფლიოს მე-8 ჩემპიონი ჭადრაკში
63. ეშმაკი, ავი სული ყურანში
64. ისტორ. სოფელი გარეკახეთში
65. მთა წალკის რაიონში
66. განხეთქილების „ხილი“
67. დღის პირველი საქმიანი წამოწყება
68. არყის სასმელი პატარა ჭიქა
69. თბილისის ერთ-ერთი უბანი
70. მდინარე - ესპანურად
71. ქართული კომედიური ტელესერიალი
72. ინდოელი თავადი
73. ფრანგული ყველის მარკა
74. წვრილი ნაკეცები ქსოვილზე
75. მიმართვა ფრანგი მეფისადმი
76. ღრმა და ვიწრო ორმო წყლისათვის
77. ყაზახეთის დედაქალაქი
78. არზაყანის ცხენი „მთვარის მოტაცებაში“
79. უმაღლესი სამხედრო წოდება
80. ჭაობის მცენარე
81. დიდი ბოთლი
82. ახლად ამოსული ხშირი და წმინდა ბალახი
83. ყალბი, არანამდვილი, შერყვნილი
84. კრემიანი ნამცხვარი
85. დიდი ესპანელი მხატვარი
86. კაკლის საბერტყი გრძელი ჯოხი
87. სასტუმროს მსახური ბიჭი

ცხვირის წვეთებმა ფერი შეუცვალა

ვერცხლისფერი კანის მქონე ქალი მოუწოდებს ყველას, ვინც წამლებს ინტერნეტის მეშვეობით ყიდულობს, მოერიდონ მეტალის შემცველ პრეპარატებს. 4 წლის განმავლობაში, როცა როზმარი იაკობსი ჯერ კიდევ 11 წლისა იყო, მუდმივად იღებდა ცხვირის წვეთებს, თავისუფლად რომ ესუნთქა. ამ დროს, კალოიდური ვერცხლი, რომელსაც პრეპარატი შეიცავდა, გოგონას კანში გროვდებოდა და როცა ამას ყურადღება მიაქცია, სამწუხაროდ გვიან იყო. კანის ფერის ცვლილებებს ვერც მე და ვერც ოჯახის წევრები ამჩნევდნენ, რადგან ეს თანდათანობით ხდებოდა, — ამბობს როზმარი, — ამიტომ ვაგრძელებდი წამლის მიღებას. 4 წლის შემდეგ ბიოპსიამ გოგონას ეპიდერმისის ღრმა ფენებში ვერცხლის უამრავი ნაწილაკი აღმოაჩინა და არგიროზის დიაგნოზი დაუსვეს. ექიმებმა განუცხადეს, რომ კანის ვერცხლისფერი ფერი სამუდამოდ დარჩება. როზმარის ახლაც ბევრი გაურბის, რადგან ჰგონიათ, რომ გადამდები დაავადება აქვს. გოგონამ წლების განმავლობაში მკურნალობის უამრავი კურსი ჩაიტარა, მაგრამ არაფერი ეშველა.

ვერსია

მისამართი: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.
e-mail: versiaprinti@yahoo.com www.versia.ge
UDC(უაკ)070.48:32(479.22)3-387

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77
პასუხისმგებელი რედაქტორი: ნინო ლურსმანაშვილი
მედიაჯგუფი: მაია მიშელაძე, ნინო კომახიძე,
რუსუდან შელია, გიორგი იაშვილი, მერაბ ბერიძე.
სტილისტი: ნინო ებანოიძე
დიზაინერი – გიორგი ლომსაძე
ტელ: 2942399

ISSN 1987-8699

დაცულია საავტორო უფლებები. რედაქციაში შემოსული მასალები უკან არ ბრუნდება. სტატიაში მოყვანილ ფაქტებსა და ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. პრეტენზიის შემთხვევაში დაგვიკავშირდით 14 დღის განმავლობაში.